# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 ივნისი, 2014 წელი.

№106 (7487)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჩებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ანგელა მერკელი:

მაპის გარდა სხვა შესაძლებლობებიც არსებობს იმის გამოსახატავად, **რომ საქართველო კარგი პარტნიორია...** ②

## უცნაური ამბები ზეიმების ჟამს ④

- არეულობა აფხაზეთში
- „ს კარაბლია ნა ბალ!“
- სისხლის მდინარეები უკრაინაში
- ...და ვაკის ლიტერატურულ კაფეში
- ზეიმი მიბრძანებია!..

## შეცვლის პოროშენკო პოლიტიკურ ვექტორს? ⑤

## მარიხუანას მომხმარებლებს მინისტრმა მწვანე გზა გაუხსნა ⑦

## დიდ ულოვანი



③

ნაციონალებმა უმნიშვნელოვანესი ობიექტი უცხოელს მიჰყიდეს, ის კი ქართველ მეწარმეებს ავიწროვებს ⑥

## განსაკუთრებული



⑥

## გორგოძის პირველი ქართული „ბარბაროსული“ ⑭

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# მხარდაჭერა ასოცირების შეთანხმების განსახორციელებლად

**გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისგან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში მხარდაჭერა მივიღეთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ანგელა მერკელთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მისი თქმით, ძალიან დიდი პატივია ბერლინში ოფიციალური ვიზიტით ყოფნა და ანგელა მერკელთან შეხვედრა.

პრემიერის თქმით, გერმანიასა და საქართველოს შორის უნდა გაღრმავდეს ვაჭრობა, ეკონომიკა, კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობები.

მისივე თქმით, ასოცირების შეთანხმება ხელს შეგვიწყობს, რომ დავუბრუნდეთ ერთიან ევროპულ ოჯახს და გავხდეთ მისი სრულფასოვანი წევრი.

პრემიერის განცხადებით, ასოცირების ხელშეკრულების პროცესში გაღრმავდება სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოსთვის.

— შეხვედრაზე ჩვენ გავაკანით ჩვენი მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები, რომელიც მიმართულია დემოკრატიის, კანონის უზენაესობის გაძლიერებისკენ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით გვჯერა, რომ უფრო მეტად გავაღრმავებთ ჩვენს შორის არსებულ ურთიერთობებს. ჩვენ ასევე მივაწოდეთ ინფორმაცია რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების კუთხით, ჩვენ ბევრი კონსტრუქციული ნაბიჯი გადავდგით ამ მიმართულებით, რამაც რეალური შედეგი გამოიღო. ამან აჩვენა, რომ საქართველოს ჰყავს სტაბილური და კონსტრუქციული მთავრობა, — განაცხადა ღარიბაშვილმა.



— მე ვფიქრობ, რომ MAP-ის საკითხი ნატოს შემდეგი სამიტის თემა არ იქნება, მაგრამ ჩვენ ვხედავთ იმ პროგრესს, რაც არის საქართველოში. ჩვენ ვხედავთ საქართველოს ძალისხმევას, მაგალითად, ავღანეთში. ნატოს შემდგომი სამიტისთვის ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ თუ როგორ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ საქართველო არის კარგი პარტნიორი და მე ვფიქრობ, რომ MAP-ის გარდა სხვა შესაძლებლობებიც არსებობს ამის გამოსახატად, — აღნიშნა შეხვედრისას გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა.

რაც შეეხება კითხვას, რომლის მიხედვითაც თუ ნატო მიიღებს გადაწყვეტილებას, თავი შეიკავოს შემდგომ ნაბიჯებზე, იქნება თუ არა რუსეთის მხრიდან აღქმული როგორც მწვანე შუქი შემდგომი აგრესიისთვის, მერკელმა განაცხადა, რომ არა მგონია რუსეთის მხრიდან მიღებული იქნება გადაწყვეტილება დამატებითი აგრესიისთვის.

◎ პრემიერი

# ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახი სიცოცხლის ბოლომდე სახელმწიფო დაცვით იქნება უზრუნველყოფილი

**პრემიერი და მისი ოჯახი სიცოცხლის ბოლომდე სახელმწიფო დაცვით იქნებიან უზრუნველყოფილნი. შესაბამისი ცვლილება „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის №71-ე დადგენილებაში შევიდა.**

დადგენილებით განსაზღვრულია იმ პირთა ჩამონათვალი, ვისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც სახელმწიფო დაცვის სამსახური ახორციელებს. კერძოდ, ესენია პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების პერიოდში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები და მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა პირები.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს და მისი ოჯახის წევრებს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მათ დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც, მისი სიცოცხლის ბოლომდე ახორციელებს.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ დღევანდელი კანონმდებლობით, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი სახელმწიფოს პირველი პირი და სახელმწიფოს მეთაური გახდა, მას, რა თქმა უნდა, დაცვა ეკუთვნის. თუმცა საკითხავია, ჩვენს მინისტრებს, მინისტრის მოადგილეებს, ბევრ მაღალჩინოსანს ავტომატურ რეჟიმში რატომ ეკუთვნის დაცვა და პრივილეგიები?! მათ კეთილი უნდა ინებონ და სამსახურში საკუთარი მანქანებით იაროონ. ეს არის პრინციპული მოთხოვნა იმ სახელმწიფოში, სადაც ერი და ბერი ერთნაირ პირობებში უნდა ცხოვრობდეს. ამდენად, გიორგი თავდგირიძის აზრით, საქართველოში არაერთი საკანონმდებლო ცვლილება უნდა განხორციელდეს მაღალჩინოსნების და სახელმწიფო მოხელეების დაცვის გრაფიკის უზრუნველყოფის შესაცვლელად.

„ეს ნომენკლატურა გადასახედია, რაც ჩვენისთანა ღარიბ ქვეყანას უნდა შეეფერებოდეს, რომელსაც არა აქვს ფინანსური რესურსი. სხვა საკითხია, კონკრეტული პირისთვის დაცვის დანიშვნა საშიშროების შემთხვევაში. ეს იმ დროს უნდა მოხდეს, თუკი სპეცსამსახურებს აქვთ ამ საფრთხის შესახებ ინფორმაცია. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, პარლამენტმა უნდა იმსჯელოს ამის შესახებ და ამა თუ იმ პირს მცირე ვადით ან სამუდამოდ დაცვა დაუნიშნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გვიყალიბდება კასტა, ე.წ. ცისფერსისხლიანთა ფენა, რომელიც გამოეყო საზოგადოებას და ხალხისგან დაცვა სჭირდება. სიმართლე რომ ვთქვათ, უცხოეთიდან მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, რადგან იქ არავის აინტერესებს, ვინ იქნება საქართველოს ჩინოვნიკი. საპარლამენტო რესპუბლიკაში ცალკეული ჩინოვნიკის გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადამწყვეტი სახელმწიფოსთვის, თანაც, ეს ჩინოვნიკები ძალზე სწრაფად იცვლებიან. დღეს ვიღაცა ხდება, ვთქვათ, სოფლის მეურნეობის მინისტრი და მას აუცილებლად „ეკუთვნის“ მანქანა, დაცვა და პრივილეგიები“, — აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

ჩვენ დავინტერესდით, რამდენად არის დაცული პრემიერის უსაფრთხოება. ამის საპასუხოდ, ექსპერტი განმარტავს, რომ ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, პრემიერს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ასევე, საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, მას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, შეიძლება, მისი დაცვის ხარისხი იმითაც იყოს განპირობებული, რომ მას დისკომფორტი არ შეექმნას საზოგადოების ე.წ. უზრდელი წევრებისგან (არა მარტო ნაციონალებისგან), რომლებმაც შეიძლება, მას პირადი შეურაცხყოფა მიაყენონ. აქედან გამომდინარე, ასეთი ტიპის დაცვა პრემიერს აუცილებლად სჭირდება. მისი მოძრაობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

„მე მაინც მოხარული ვიქნები, თუ სახელმწიფოს სათავეში იქნებიან ადამიანები, რომლებსაც ექნებათ საყოველთაო სახალხო სიყვარული და მათ არ დასჭირდებათ ბარიერები ხალხთან. ვიცი ბევრი ევროპული ქვეყანა, სადაც ყოველგვარი ზედმეტი დაცვის გარეშე მოძრაობენ სახელმწიფოს პირველი პირები. პრეზიდენტსაც შეიძლება ჰყავდეს დაცვის სამსახური, მაგრამ ძალიან ვიწრო წრე და მოკრძალებული დაცვა. თუ ჩვენს ისტორიას გადავხედავთ, ხალხის სამსახურში მყოფი ჩვენი ყველა მეფის დაცვა მხოლოდ სამხედრო იერიშის წინააღმდეგ იყო გათვლილი და უბრალო ხალხისგან დასაცავად მათ დაცვა არ ჰყოლიათ. იმიტომაც არსებობს სპეცსამსახურები, რომ მათ შეისწავლონ და დაადგინონ, ამა თუ იმ ობიექტს, თუნდაც ოპოზიციის წარმომადგენელს, ემუქრება თუ არა საფრთხე და, როცა გაივლის საშიშროება, მას ეს დაცვა უუქმდება. არსებობს კერძო დაცვის ინსტიტუტები მდიდარი ადამიანებისთვის, მაგრამ უნდა განვასხვავოთ ვითარება, როცა ადამიანს საფრთხე ემუქრება საზოგადოებრივი აქტიურობისთვის. ამიტომ სახელმწიფომ, მიუხედავად იმისა, ჩინოვნიკია თუ არა ეს ადამიანი, შეიძლება იგი დაიცვას. ეს სახელმწიფოს პრესტიჟია. ასევე, ძალიან ვიწრო ნომენკლატურულ წრეს, სულ რაღაც, ოთხხუთ თანამდებობის პირს შეიძლება, ავტომატურ რეჟიმში დაენიშნოს დაცვა, რადგან ეს ჩვენი ბიუჯეტისთვის სოლიდური ტვირთია“.

„თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს“ წევრი თეონა აქუბარდია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ადრინდელი კონსტიტუციით, პრემიერი არ იყო ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი. სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ პრეზიდენტის ოჯახზე ვრცელდებოდა ეს კომპეტენციები. ახლანდელი ცვლილებებით კი, უკვე პრემიერი და მისი ოჯახის წევრები იქნებიან სიცოცხლის ბოლომდე სახელმწიფო დაცვით უზრუნველყოფილნი. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი პრემიერის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და დღის წესრიგში დგას მისი უსაფრთხოების აუცილებლობა.

**მანანა ნოზაძე**

◎ დავა

# ზაქარია ფალიაშვილის რძალი ლალი მიქავა სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს

**ზაქარია ფალიაშვილის რძალი, პიანისტი ლალი მიქავა თბილისის მერობის კანდიდატ ნიკა მელიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს. იგი აცხადებს, რომ საქმე ეხება ნიკა მელიას სააღსრულებო ბიუროს თავჯდომარედ ყოფნის პერიოდს.**

მისი თქმით, 11 წლის განმავლობაში იგი დევნილად აქციეს. სიმართლის მოლოდინში 19-ჯერ მიმართა მთავარ პროკურატურას, თუმცა, რატომღაც არ უნდათ, დაუბრუნონ „ყაჩაღების მიერ მოპარული მისი საკუთრება“, რადგან ეს ყაჩაღები დღესაც ხელისუფლებაში არიან. ლალი მიქავას თქმით, ამ ყაჩაღებთან ერთად ფიგურირებს ახლანდელი მერობის კანდიდატი ნიკა მელია, რომელიც 2008 წელს სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარე იყო. სწორედ მის პერიოდში წაართვეს ლალი მიქავას სახლის ნაწილი ჩიტაძის ქუჩის 10 ნომერში, რომელიც მეუღლემ, კომპოზიტორმა ოთარ გორდელი-ფალიაშვილმა უანდერძა.

პიანისტი თვლის, რომ ამით გაანადგურეს ოთარ გორდელის სახლ-მუზეუმი, მისი „შემოქმედება“. ბოლოს და ბოლოს, ამ სახლში გორდელის მამამ ზაქარია ფალიაშვილმა ცნობილი ოპერა „დაისი“ დაწერა. ასევე, უკანონოდ გაუყიდეს და დაუყადაღეს ზაქარია ფალიაშვილის როიალი, რაც 45-ე მუხლის თანახმად, დაყადაღებას არ ექვემდებარებოდა, რადგან ლალი მიქავა პროფესიით თავადაც პიანისტია.

„10 წლის განმავლობაში ეს საკითხი არ განხილულა. ეს ყველაფერი ხდებოდა ჯერ გიგა აგულაშვილის და შემდეგ, ნიკა მელიას ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, მომპარეს ჩემი ინტელექტუალური საკუთრება და მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სამინისტროსგან მოვიგე 81 ათასი დოლარი (რადგანაც მიითვისეს ჩემს მიერ დაპატენტებული პროექტი ფესტივალი „ვაზის საგალობელი“) და ხელზე მქონდა სააღსრულებო ფურცელი, იძულებით აღსრულების სტადიაზე 6 თვის განმავლობაში ნიკა მელიამ დაარღვია ყველა კანონი და კულტურის სამინისტროს იურისტ ჩიხრაძესთან ერთად არ მომცა ეს ფული. ჩემი ადვოკატი იმ დროს იყო თეა წულუკიანის მოადგილე სანდრო ბარამიძე, მან საქმე სტრასბურგში გაგზავნა, მაგრამ მოგვიანებით ყველა საქმე სტრასბურგიდან წულუკიანმა დააბრუნა. მე კი 81 ათასი დოლარის მაგივრად, 2 ათას ლარს მთავაზობდნენ“, — განაცხადა For8ge-სთან საუბარში ლალი მიქავამ.

ამჯერად ლალი მიქავას სურს, სახლის კუთვნილი ფართის (100 კვადრტული მეტრი) დაბრუნების შემდეგ ეს სახლი საპატრიარქოს გადასცეს და აქ მოეწყოს კულტურული დაწესებულება.

ამ საქმესთან დაკავშირებით For.ge ლალი მიქავას ადვოკატს დიანა გვიშიანს ესაუბრა. მისი თქმით, აღსრულების ბიუროს აღმასრულებელი იყო ვინმე აგულაშვილი, ხოლო ნიკა მელია იმ დროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობდა. ზუსტად იმ პერიოდში უკანონოდ მოხდა ლალი მიქავას კუთვნილი ქონების ჩამორთმევა.

„აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის მუხლით, ამ საქმეში ლალი მიქავა დაზარალებულად იყო ცნობილი. ამ დროს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მეორე დაზარალებული — ბაღდასაროვი მელიას და აგულაშვილის ხელშეწყობით მას ართმევს ამ ქონებას, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს, რომელიც დაარსა ოთარ გორდელმა, ფალიაშვილის ვაჟმა. ეს უკანონობაა, ნებისმიერმა იურისტმა იცის, რომ ერთი დაზარალებული მეორე დაზარალებულს, მით უმეტეს, საქმის ძიების პროცესში ქონებას არ ართმევს. თანაც, ამ წართმევას აღმასრულებელი არ უნდა უწყობდეს ხელს. გარდა ამისა, სააღსრულებლომ რანაირად გამოიტანა ეს გადაწყვეტილება, რანაირად დააყადაღა და რანაირად წაართვა ის როიალი, რომელზეც „დაისი“ შესრულდა, არ ვიცი. 2000 წლიდან ჩივის ეს ქალბატონი. ჩვენი მოთხოვნაა, დღეს მაინც გადაიხედოს ეს საქმე. აქ მხოლოდ ლალი მიქავას ქონებასა და ბინაზე არ არის საუბარი, არამედ საუბარია ამხელა კულტურულ მემკვიდრეობაზე“, — აღნიშნა დიანა გვიშიანმა.

**მარიამ ლოლაშვილი**

# დიდსულოვანი

## მეჰდი ღოლამ ალის შედგენილი წიგნიდან – „მწვანეზე მწვანე“

**1978-1979 წლებში, იმამი ხომეინის (1900–1989) ხელმძღვანელობით, ირანში მოხდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი რევოლუცია, რომლის მსგავსი თითებზე ჩამოსათვლელი შეიძლება იყოს, რის შედეგადაც დაემხო ირანის 2500-წლიანი მონარქიული სახელმწიფო წყობა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა ირანის ისლამური რესპუბლიკა. შაჰის ნაცვლად ქვეყანას სათავეში ჩაუდგა სულიერი ბელადი – იმამი ხომეინი.**



**მოგონებანი ხომეინიზე**

**აიათოლა ხომეინი პოლიტიკურ ასპარეზზე 60-იან წლებში გამოდის, რასაც მალე, 1963 წელს მისი დაპატიმრება მოჰყვა, თუმცა, მალე გაათავისუფლეს, მაგრამ იმავე წელსვე, ხელმეორედ დააპატიმრეს და თურქეთში გადაასახლეს.**

**ხომეინი 1965 წლიდან ერაყში ცხოვრობს და მოღვაწეობს. 1978 წელს, ირანის შაჰის მოჰამად რეზა ფეჰლევის მოთხოვნით, მას ერაყი დაატოვებინეს. ხომეინი საფრანგეთმა შეიფარა, სადაც ის მსოფლიოს დიდი ყურადღების ქვეშ მოექცა.**

**საფრანგეთში ჩასვლიდან, სამი თვის თავზე, ხომეინი გამარჯვებული ბრუნდება ირანში. თეირანის მეჰრაბადის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მილიონობით ირანელი ორი კვირა ცას შესცქეროდა და ისე ელოდებოდა პარიზიდან მის ჩამოფრენას. ჩამოფრინდა ისიც და ჩაუდგა ქვეყანას სათავეში. ქვეყნის პირველი პირი არ გადასულა ქვეყნის პირველი პირისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში. იგი თავისი პატარა ოთახიდან მართავდა ქვეყანას და იქ იღებდა მსოფლიო ლიდერებს.**

**ხომეინის ეკუთვნის 60 ტომი ნაშრომებისა, რომლებიც ეძღვნება რელიგიურ და ფილოსოფიურ თემებს, მორალს, ეთიკას... ხომეინმ ჩამოაყალიბა „ისლამური მმართველობის“ კონცეფცია.**

**მიუხედავად იმისა, რომ ხომეინი ბელადი გახდა, მას, თეირანის გარეუბანში მდებარე თავისი პატარა ოროთახიანი ბინიდან ფეხი არ მოუცვლია ქვეყნის პირველი პირის რეზიდენციაში არ გადასულა საცხოვრებლად.**

**როცა ხომეინი ბელადი გახდა და მას მოუწია ქონებრივი დეკლარაციის ანკეტის შევსება, იგი ცარიელი დააბრუნა უკან, რადგან მასში შესატანი არაფერი აღმოაჩნდა.**

**ხომეინი ამავე დროს იყო პოეტი, რასაც ის თავმდაბლობის გამო არ ამხელდა. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა მისი ფილოსოფიური ლირიკა ცნობილი ირანელი ხალხისთვის.**

**საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც ირანის გარეთ ითარგმნა ხომეინის პოეზია (მთარგმნელები არიან მაგალი თოდუა და ვახუშტი კოტეტიშვილი).**

**საქართველოში, ქართველი ირანისტების მიერ, არა ერთი და ორი ნაშრომია მიძღვნილი ხომეინის მეცნიერული, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ პოეტური შემოქმედებისადმი.**

**ირანელები პატივს მიაგებენ იმამ ხომეინის სახელს, აღნიშნავენ მის დაბადებისა და გარდაცვალების დღეს. 4 ივნისს სრულდება ხომეინის გარდაცვალებიდან 25 წელი.**

**გთავაზობთ მოგონებებს იმამ ხომეინიზე:**

---

როცა ირანის შაჰმა – მოჰამად რეზა ფეჰლევიმ ქვეყანა დატოვა, იმამს მაშინ პარიზთან ახლოს, დაბა ნოფლ-ლე-შატოში ედო ბინა. ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით ინტერვიუს ასაღებად, ასობით კორესპონდენტი შემოჰკვროდა მის სახლს.

გამოიტანეს ტახტი და იმამი მასზე დაბრძანეს. ჩაირთო მასმედიის ყველა სახის საშუალებანი. მსოფლიოს თვალი იმამისკენ იყო მიპყრობილი.

პირობა ასეთი იყო: კორესპონდენტებს, მათი სიმრავლის გამო, ჯგუფ-ჯგუფად უნდა დაესვათ თითო შეკითხვა. ის იყო, დაისვა ორი-სამი შეკითხვა, რომ გაისმა ლოცვის მაუწყებელი აზანის ტკბილი ხმა. „შუადღის ლოცვის ჟამი მოვიდაო“ – ბრძანა იმამმა და გაემართა სალოცავად.

ყველა სახტად დარჩა. ერთ-ერთმა შეჰბედა კიდეც იმამს: იშვიათი რამ მოხდა, თქვენს ხმას მთელი მსოფლიო სულგანაბული ელოდება. იქნებ რამდენიმე შეკითხვაზე მაინც გვიპასუხოთო.

– „არავითარ შემთხვევაში ეს არ მოხდება,“ – უპასუხა მკვეთრად იმამმა და განაგრძო გზა.

* * *

**ი მ ა მ ი ს** ღამის ლოცვა ნამდვილი სანახაობა იყო. ამ დროს იგი ისე მორჩილებით იყრიდა მუხლს უფლის წინაშე და ასრულებდა მოძრაობებს, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია.

ასე გაატარა იმამმა მთელი თავისი სიცოცხლე. ხოლო, როცა გამარჯვებული საფრანგეთიდან ირანში მოფრინავდა, ღამის ლოცვა მან ცაში ჩაატარა.

აიათოლა ხუნსარი იგონებს: როცა იმამი ჰოსპიტლის მედრესეს ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა, იგი ყოველღამე ღამის ლოცვისთვის განსაბანი წყლის ასაღებად შემოდიოდა „ფეიზიეს“ მედრესეში, ამსხვრევდა აუზის ყინულს, იღებდა წყალს და, როცა ლოცვას შეუდგებოდა, თითქოს ყველაფერი ინუსხებოდა და მის ხმას ერწყმოდაო...

ყოველი ღამის ლოცვის მერე მის კეთილშობილებით სავსე სახეს ნათელი ეფინებოდა. ბოლო რამაზანის ღამის ლოცვებისას კი იმდენ ცრემლს ღვრიდა, ცხვირსახოცი არ ჰყოფნიდა და ხელსახოცს იშველიებდა.

იმამი ბრძანებდა: „ნამდვილი ღვთისმოსავია ის, ვინც ღამე შეჰღაღადებს უფალს: ჰეი, მეუფეო ყოვლისა, გაგვეც პასუხი ყოველივეზე!“

* * *

**ი მ ა მ ს** ერთი დამახასიათებელი თვისება ჰქონდა. იგი თავისთავს არ თვლიდა ვინმესგან გამორჩეულ პიროვნებად და ზედმეტ ყურადღებასაც არ ითხოვდა.

მისი ეს თვისება საბაბი ხდებოდა იმისა, რომ შეკრებებისას, სადაც კი უბრალო ადგილს მოიხელთებდა, უმეტესად კარებთან, იქ ჩაიმუხლებდა, განსხვავებით იმათგან, გამოსაჩენ ადგილებისკენ რომ მიჰქონდათ თავი.

ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც ხომეინის საფრანგეთში ყოფნისას მის სახლში იმყოფებოდა, იმამის თავმდაბლობის შესახებ იგონებს: „ერთხელ იმამთან სტუმრები მოვიდნენ. სადილის მერე, როცა სუფრა ალაგდა, სამზარეულოში იმამი შემოვიდა. ის დრო არ იყო, ლოცვის წინ განსაბანი წყალი დასჭირვებოდა და შევკადრე, თუ რაში იყო საქმე. ასე მომიგო: ვინაიდან დღეს დიდი სტუმრობა გვქონდა, გასარეცხად ჭურჭელიც ბევრი მოგროვდა, შემოვედი, რომ მოგეშველოთ.“

* * *

**ი მ ა მ ი** არასოდეს არავისზე იტყოდა აუგს. თუ საუბრისას ვინმე ვინმეზე დააბრალებდა ცუდის თქმას, იგი მაშინვე მოხერხებულად სიტყვას ბანზე აუგდებდა.

ხომეინის სახლის წინ ხშირად საათობით ივრიბებოდნენ სემინარისტები და მსჯელობდნენ მეცნიერულ საკითხებზე. თუ ამ დროს რომელიმე პირის მისამართით გამოითქმებოდა რაიმე უარყოფითი აზრი, იმამი წუხდა.

ჰაჯი აღა მუსტაფა ხომეინი იმამის მიერ მათი მისამართით ნათქვამს იგონებს: „თქვენს შეკრებებზე ზოგჯერ სხვათა მისამართით აუგს ვისმენ. არ მსიამოვნებს, რომ აქ ვინმეზე ცუდი ისმისო“.

* * *

**რ ო ც ა** ნაჯაფში იმამს თავისი შვილის – ჰაჯი აღა მუსტაფა ხომეინის – მოწამებრივად აღსრულების ამბავი მიუტანეს, იგი კუთხეში განმარტოვდა და ალაჰს შეჰღაღადა.

ასე ინუგეშა თავი და ანუგეშა ოჯახის წევრები.

იმ მძიმე წუთებში ერთი ისეთი რამ მოხდა, რომელიც ნათლად ავლენს იმამის დამოკიდებულებას კანონისადმი.

დამწუხრებულმა ოჯახის წევრებმა მოინდომეს რევოლუციის ბელადის კანცელარიის ტელეფონით თეირანში დაერეკათ, მაგრამ იმამმა მათ ამის ნება არ დართო და ასე აუხსნა: „ეს ტელეფონი სახელმწიფოსია, თქვენ კი კერძო პირები ხართ, ამიტომ ამით სარგებლობის უფლება არა გაქვთო.“

* * *

**ნ ა ჯ ა ფ შ ი** ყოფნისას, როცა ის სახლში ანთებულ ნათურას შეამჩნევდა, სხვას არ შეაწუხებდა, ავიდოდა თვითონ, ჩააქრობდა და შემდეგ სიბნელეში მესამე სართულიდან ჩამოუყვებოდა კიბეს.

იგი არასოდეს ააგზავნიდა მაღლა ბავშვს ან ვინმე სხვას რაიმეს ჩამოსატანად. რამე თუ დასჭირდებოდა, ქაღალდი იქნებოდა ეს, კალამი ან სხვა რამ, თვითონვე ჩამოიტანდა.

* * *

**რ ო ც ა** ნაჯაფში იმამს „ლუმანიტეს“ კორესპონდენტი ეწვია, იგი გაოგნებული დარჩა იმ უბრალოებით, რაც იქ დახვდა და წერილიც ასე დაიწყო: „ჩვენ ახლა აიათოლას ოთახში ვიმყოფებით, ველოდებით მის გამოჩენას, ოთახი ოთხი კვადრატული მეტრია, სახლი ნაჯაფის ყველაზე მიყრუებულ უბანში მდებარეობს, თავად ქალაქი კი, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ერაყის ერთ-ერთ ყველაზე ქვიშიან ზონაშია მოქცეული.“

მართლაც, იმამის სახლი ნაჯაფის ყველაზე მივარდნილ უბანში მდებარეობდა, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ, მჭიდროდ დასახლებულ ქუჩაზე, სადაც თაკარა მზე ავარვარებდა ყველაფერს.

ამ სახლის სამ პატარა ოთახში თორმეტი კაცი ცხოვრობდა.

* * *

**ი მ ა მ ი**, რამდენიმე წუთითაც რომ გასულიყო გარეთ, ოთახში ნათურას ანთებულს არ დატოვებდა.

ნაჯაფში ყოფნისას, ხშირად, როცა იგი გარედან სახლში ანთებულ ნათურას შენიშნავდა, შებრუნდებოდა უკან და ჩააქრობდა. მეორე დილით კი ამის გამო თანამშრომლებს საყვედურობდა.

* * *

**ს ი ს უ ფ თ ა ვ ი ს ა დ მ ი** იმამის დამოკიდებულება სამაგალითო იყო. იგი ამ მხრივ ადრეული ასაკიდანვე იქცევდა ყურადღებას.

მაშინ ყუმის ქუჩები ტალახიანი იყო, სადაც გავლისას ყველა ისვრებოდა, მაგრამ იმამი ისე გაივლიდა იმ ტალახში, რომ მისი ნამცეცი იშვიათად თუ მოეცხებოდა, და თუ ასეთი რამ მოხდებოდა, იგი ღუმელთან გაფენდა სამოსს, გააშრობდა და საგულდაგულოდ მოაცილებდა ლაქას.

იმამი წლობით ატარებდა ერთ მოსასხამს, რომელსაც პეწი მუდამ შენარჩუნებული ჰქონდა.

* * *

**ი მ ა მ ს** უყვარდა სპორტი, რომელიც გართობისა და დასვენების საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა, თუმცა, მას განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობდა.

სპორტის სახეობებიდან ყველაზე მეტად ჭიდაობასა და ფიზიკური კულტურის ძველ ირანულ სახეობებს ანიჭებდა უპირატესობას.

იმამს ფეხით უყვარდა სიარული და ეს ჩვეულება მას ბოლომდე გაჰყვა.

იმამი ბრძანებდა: „გართობის დროს ნუ იმეცადინებთ, ხოლო მეცადინეობისას ნუ გაერთობით“.

* * *

**ი მ ა მ ი ს** მეუღლე იგონებს: იმამი მეტად გაწონასწორებული ადამიანი იყო. იგი ჩემს მიმართ ყოველთვის ყურადღებას იჩენდა. ოთახში საუკეთესო ადგილს მიმიჩენდა. სანამ სუფრას არ მივუჯდებოდი, საჭმელს არ შეექცეოდა, თუ დავაგვიანებდი, ბავშვებს ეტყოდა, რომ ჩემს შემოსვლამდე მოეთმინათ.

მატერიალურად არასდორს გვილხინდა. ის სემინარისტი იყო და ხელს აქეთ-იქით არ იშვერდა, მცირედითაც კმაყოფილი იყო. არ უნდოდა საოჯახო საქმეებში ჩავფლულიყავი. ოთახში შესვლისას კარი ღიად თუ დამრჩებოდა, არ მეტყოდა, კარი მიიხურეო, არაფერს შეიმჩნევდა, ხოლო როცა დავჯდებოდი, მხოლოდ მაშინ ადგებოდა და კარს მიხურავდა.

* * *

**რ ო ც ა** ირან-ერაყის ომი დაიწყო, მებრძოლებმა, თეირანში, ხომეინის სახლთან რკინა-ბეტონის თავშესაფრის შენება დაიწყეს, რათა, საჰაერო თავდასხმებისას, იმამს თავი შეეფარებინა. იმამმა კი განაცხადა: „ნუ აშენებთ მას, მე იქ არ შევალო“.

ომის იმ უმძიმეს წუთებში, როცა დაბომბვისას ქვა ქვაზე არ რჩებოდა და იმამის სახლის შემოგარენი რაკეტების სამიზნედ იყო ქცეული, იმამს წამითაც არ შეუხრია წარბი.

ერთ-ერთ ასეთ დაბომბვისას იმამს შეევედრნენ, რომ თავშესაფარში შესულიყო, მაგრამ მან თავი შორს დაიჭირა და ბრძანა: „მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ჩემსა და იმ ჯარისკაცს შორის, რომელიც ახლა ქუჩაში საგუშაგოზე დგას, არავითარი განსხვავება არ არის, არც ჩემსა და მის სიკვდილს შორის არის რამე სხვაობაო.“

ომის დამთავრებამდე იმამს ის თავშესაფარი არც უნახავს.

**სპარსულიდან თარგმნა**
**ნომადი ბართაია**

# უცხაური ამბები ზეიმების ჟამს

**გასულ კვირაში ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე იყო. ოღონდ, ჯერ ვერ დავადგინეთ, დამოუკიდებლობის ათვლა როდიდან უნდა დავიწყოთ, 1918 თუ 1991 წლიდან; ვერც ის გავარკვიეთ, 26 მაისს უნდა ვიზეიმოთ, თუ 9 აპრილს.**

## არეულობა აფხაზეთში

**პრეზიდენტმა მარგველაშვილმა სპეციალური ბრძანებულებით წლეულს 27 ივნისს დაგეგმილ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის უფლება პრემიერ ღარიბაშვილს გადასცა. ამით პრეზიდენტმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და სიტუაციიდან „ღირსეულად“ გამოსვლა, ხელისუფლების უმაღლეს წრეებში არსებულ დაპირისპირებებზე მითქმა-მოთქმების მიჩუმათება სცადა.**

„გავუსწოროთ“ პრეზიდენტს და ჩავთვალოთ, რომ მან ეს მოახერხა კიდეც. მაგრამ კანონი? – თუ ჩვენს ხელისუფლებას ეს ქვეყანა გენმოდიფიცირებული ამერიკული სიმინდის ჩალით დახურული არ ჰგონია, დასაბუთებულად უნდა აგვიხსნას, რა სამართლებრივი საფუძველი აქვს პრეზიდენტის ამ ბრძანებულებას? სხვათა შორის, ეს კითხვა არ გაჩნდებოდა, პრეზიდენტს თავისი უფლებამოსილება პარლამენტის თავჯდომარე დავით უსუფაშვილისთვის რომ გადაებარებინა.

სანამ ჩვენთან პრემიერი და პრეზიდენტი ხელმომწერის გარკვევას და მათივე ხელით შექმნილი ვითარებიდან „ღირსეულად“ დაძრომას ცდილობდნენ, ვითარება აფხაზეთში უკიდურესად დაიძაბა. 27 მაისს ოპოზიციონერები პრეზიდენტ ანქვაბის რეზიდენციაში შეცვივდნენ. ჯერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ანქვაბი და მისი მთავრობა გადადგა, თუმცა, მალე გაირკვა, რომ პრეზიდენტი გუდაუთაში, ერთ-ერთ რუსულ სამხედრო ბაზაზე გადასულა. სწორედ იქ შეხვდა მას პუტინის თანაშემწე სურკოვი. იგი „გადამტრიალებელ“ რაულ ხაჯიმბას და მის მხარდამჭერებსაც შეხვდა. ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ ძალოვანმა სტრუქტურებმა ანქვაბს მხარდაჭერა გამოუცხადეს. ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელიც აფხაზურმა ოპოზიციამ დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბთან შეხვედრაზე დააყენა, იმ ეთნიკური ქართველების აფხაზეთის ტერიტორიიდან გასახლება იყო, რომელთაც აფხაზური პასპორტები დარღვევებით აქვთ მიღებული. საუბარია გალისა და ოჩამჩირის რაიონების მკვიდრ დაახლოებით 3 000 ეთნიკურ ქართველზე.

უკანონო პასპორტიზაციის სკანდალის შემდეგ, გალისა და ოჩამჩირის მკვიდრ არაერთ ქართველს ე.წ. აფხაზური პასპორტები ჩამოართვეს. ასევე, არ გასცემენ დოკუმენტებს ამ რაიონების სკოლადამთავრებულებზე. ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას პრობლემები ექმნება პენსიებისა და ხელფასების მიღებასთან დაკავშირებითაც.

ვითარება აფხაზეთში ძალიან დაემსგავსა უკრაინულ მინი მაიდანს. თუმცა, 47-მილიონიანი უკრაინისგან განსხვავებით, აფხაზური დაპირისპირება, შესაძლოა, აფხაზი ერის სრული განადგურებით დამთავრდეს. მით უფრო, უკვე დაწყებულია საუბარი აფხაზეთის რუსეთთან „ასოცირებაზე“.

კვირის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ალექსანდრე ანქვაბის გადადგომისა და ძალაუფლების რაულ ხაჯიმბას ხელში გადასვლის შესახებ.

დიდი იმედი მაქვს, ჩვენი აფხაზი ძმები საკუთარ ისტორიას პოლიტიკური ინტრიგების სამსხვერპლოზე არ მიიტანენ. მიხვდებიან, რომ დიდ რუსეთს პატარა ევზოტიკური „უგალოკი“ შავი ზღვის პირას დანარჩენი საქართველოს გარეშე ფეხებზე ჰკიდია; რომ ერთადერთი გზა ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისკენ ქართველ ძმებთან საუკეთესო ურთიერთობების აღდგენა და მათთან ერთად ბრძოლაა.

## „ს ქარაბლია ნა ბალ!“

**ძართველი ძმები კი გასულ კვირაში ძველებურად მომავალი არჩევნებით ცხოვრობდნენ: მიტინგები და ანტიმიტინგები, აქციები და კონტრაქციები, არგუმენტები და კონტრარგუმენტები, კანდიდატები და მხარდამჭერები, პატრიოტები და სეპარატისტები...**

ისევ აქტუალური იყო ლეიბორისტებისა და „საქართველოს გზის“ (აი, იმ გზაზეა საუბარი, რომელზეც ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა უნდა დაგვაყენოს) კანდიდატებზე გაუგონარი ფსიქოლოგიური ზეწოლის დაუდასტურებელი ფაქტები; ოქრუაშვილის წინასაარჩევნო კამპანია გორსა და გორის რაიონში; დეპუტატობის კანდიდატების გადარბენა-გადმორბენა-გადაბირებები; სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავჯდომარედ პრემიების განსაკუთრებული სიყვარულით გამორჩეული გოგი გახარიას დანიშვნა; ID ბარათების ეშმაკისეულობა; ჩურჩული მოსალოდნელ სახელმწიფო გადატრიალებაზე; ყიყინა ქვეყნის ნათელ მომავალზე; შალვა ნათელაშვილსა და ლევან ვასაძეს შორის გადარბენილი დიდი შავი კატის ვინაობა და ა. შ.

პოლიტიკურ სიბეცეში რომ არ ჩამეთვალოს, შეგახსენებთ, რომ გასულ კვირაში საზეიმოდ აღინიშნა ქართული პოლიციის დღე. პირდაპირ ბერლინიდან ბათუმში ჩასულმა პრემიერმა საქებარი სიტყვები არ დაიშურა მშობლიური პოლიციისადმი, რომელსაც, სხვათა შორის, ჩვენი ამერიკელი მეგობრები „კაცობრიობის ყველაზე გარყვნილ ნაწილად“ მოიხსენიებენ. ერთობ გულისამაჩუყებელი გამოდგა 31 წლის პრემიერის მამაშვილური დარიგება 28 წლის შს მინისტრ ლექსო ჭიკაიძისადმი.

პრემიერი გასულ კვირაში ანაკლიაშიც ჩავიდა, იქ გამართულ საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმს დაესწრო და სიტყვითაც გამოვიდა. იქიდან ოზურგეთს მიაშურა (31 მაისს), ამომრჩევლებს შეხვდა და დაპირდა, რომ „ქართული ოცნება“ არც ერთ რეგიონში არ დაუშვებს სხვა პოლიტიკური ძალის გამარჯვებას“!

ამ სიტყვების მთქმელს ან ძალიან ცუდი მრჩევლები ჰყავს, ან, ღმერთმა დაგვიფაროს და, თავისი წინამორბედის მიერ გატკეპნილი გზით სიარულს აპირებს.

სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, მოასწრო თუ არა ბატონმა პრემიერმა 31 მაისს თბილისში, ფილარმონიაში გამართული დიდებული ფრანგი მომღერლის, პატრისია კაასის კონცერტზე დასწრება

## სისხლის მდინარეები უკრაინაში

**გასულ კვირაში პეტრო პოროშენკო უკრაინის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ ამბავს ოპერატიულად გამოეხმაურა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. სერგეი ლავროვმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, პატივს ვცემთ უკრაინელი ხალხის არჩევანს და მის საქმეებში ჩარევას არ ვაპირებთო. ისიც დაუმატა, ამბობენ, სააკაშვილი ჩვენს სახელმწიფოებს შორის შუამავლის როლის შესრულებას აპირებს და გარწმუნებთ, უკრაინასთან მისი შუამავლობა არ დაგვჭირდებაო. ამავე დროს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოროშენკოს „სტრატეგიულ მრჩეველთა“ ჯგუფში შედიან ორი ამერიკელი, ორი კანადელი და ერთი, მაგრამ მძიმეწონიანი ქართველი ექსპერტი - კახა ბენდუქიძე. მოკლედ, მოძმე უკრაინის ეკონომიკა და სტრატეგია საიმედო ხელშია.**

28 მაისს სააგენტო „რია ნოვოსტიმ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ევროკავშირის თავჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზოსა და ევროსაბჭოს თავჯდომარე ჰერმან ვან რომპეის თხოვა გადადოს 27 ივნისის სამიტზე დაგეგმილი ევროკავშირთან უკრაინის ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. პრეზიდენტის განცხადებით, იგი თვითონ დაუბრუნდება ამ საკითხს, როცა საჭიროდ მიიჩნევს. უკრაინისთვის მოცემულ მომენტში იქნებ ასე სჯობდეს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ პრეზიდენტ იანუკოვიჩს „მაიდანი“ ზუსტად ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისთვის მოუწყვეს. პოროშენკომ განაცხადა, რომ ივნისის დასაწყისში შეხვდება რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებს. 29 მაისს ცნობილი გახდა, რომ უკრაინის ახალბედა პრეზიდენტი კოლეგა ობამას 3 ივნისს შეხვდებოდა. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ კიევის მერი მსოფლიოს უპირველესი დამრტყმელი ვიტალი კლიჩკო გახდა. ამასობაში აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარეობს ბრძოლები ჯავშანტექნიკის, არტილერიისა (მათ შორის, ავადსახსენებელი „გრადების“) და ავიაციის მონაწილეობით. 27 მაისს დონეცკის საჰაერო დაბომბვის დროს დაიღუპა ასზე მეტი ადამიანი, მათ შორის ნახევარი სამოქალაქო პირი იყო. განსაკუთრებით სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა დონეცკის საერთაშორისო აეროპორტისთვის. მომდევნო დღეებში დაახლოებით იგივე განმეორდა ლუგანსკის ოლქში.

გავრცელებული ინფორმაციით, მთლიანად განადგურებულია უკრაინელი სეპარატისტების დასახმარებლად ზარზეიმით გაგზავნილი ჩეჩნური სადესანტო ბატალიონი, დაახლოებით 47 კაცი. ეს სწორედ ის ბატალიონია, რომელიც თავის დროზე საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა. ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ დონბასში სეპარატისტებმა ათეულობით მძევალი აიყვანეს. პრეზიდენტ პიოტრ (პეტრო) პოროშენკოს თქმით, ის სეპარატისტებთან არავითარ მოლაპარაკებას არ აპირებს

გასულ კვირაშივე გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ბერლინში სავახშმოდ მიიწვია უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრები არსენი იაცენიუკი, იურიე ლიანკე და ირაკლი ღარიბაშვილი. საუბარი ევროპასთან ინტეგრაციას, ევროპულ ფასეულობებს, ევროპისაკენ ჩვენი ქვეყნების დაუოკებელ ლტოლვას და უსასრულოდ შორეულ მომავალში ევროპულ ოჯახში ჩვენს სრულუფლებიან გაწევრებას შეეხო.

საუბარი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა ჩვენი ქვეყნების მესამეხარისხოვან ევროპულ ბაზრად გადაქცევასა და ევროპულ ხელფასებზე. აღსანიშნავია, რომ ამ ვახშმის პარალელურად, შორეულ ასტანაში რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის პირველი პირების მონაწილეობით სხვა ვახშმიც გაიმართა – იქ ამ სახელმწიფოების მეთაურებმა ევრაზიულ კავშირში გაწევრებას მოაწერეს ხელი.

ისე, რომ ვიკითხო, რომელი ქვეყანა გაგვიწევდა უფრო სრულფასოვან პარტნიორობას - ყაზახეთი თუ ჰოლანდია-მეთქი, ვითომ რუსეთის აგენტად გამომაცხადებენ? ყოველ შემთხვევაში, ალბათ სიფრთხილეს თავი არ სტკივა – 28 მაისს თბილისში „ევრაზისტების“ მომხრეთა მიტინგი პრეზიდენტის ავლაბრის სასახლესთან ევროინტეგრაციის მომხრეთა (უფრო პროზაულად - საკაკაშვილზე თავდავიწყებით შეყვარებულთა) თავდასხმით დამთავრდა.

არადა, ის „საზიზღარი სეპარატისტები“ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას ითხოვდნენ, მეტს არაფერს.

იმ ხალხის გასაგონად, მიშა, ევროპა და სამშობლო ერთიდაიგივე რომ ჰგონიათ და ერთნაირად რომ უყვართ: ვინაიდან საერთო საზღვარი არა გვაქვს, ჩვენთვის უმოკლესი გზა ევროპისაკენ გადის თურქეთზე, რომელიც თვითონ ოფიციალურად 1987 წლიდან ელის ევროკავშირში გაწევრებას. მოკლედ, სანამ გავევროპელდებოდეთ, მანამ საფუძვლიანად გათურქება მოგვიწევს. აი, ეს პროცესი კი ჩვენი ევრო(პა)მოყვარული ხელისუფლებების წყალობით მართლაც გრიალით მიდის. ვისაც არ გჯერათ, ერთ საღამოს თბილისში, ოდესღაც მშობლიურ „პლეხანოვზე“ (ახლა რომ „დ. აღმაშენებელი“ ჰქვია) გაისეირნეთ, გნებავთ - ლესელიძეზე (ახლანდელი კოხტა აფხაზის ქუჩა). თუ თურქული კარგად იცით, დღის საათებში ბათუმში გასეირნებაც კი შეიძლება (არა, სიღნაღი არა – იქ ჩინურად ლაპარაკობენ).

## ... და ვაკის ლიტერატურულ კაფეში

**შოკისმომგვრელი სიახლეების გარეშე, ტრადიციულად, არც გასულ კვირას ჩაუვლია – კვირის პირველსავე დღეს კაი ოჯახის შვილმა, კაი ბიჭმა და კარგმა მწერალმა რეზო თაბუკაშვილმა ნამერალ-ნაელჩარ-ნამინისტრალ ზურაბ ჭიაბერაშვილს ვაკის ლიტერატურულ კაფეში თავში ჩაის ჭიქა ჩაარტყა. წამით ადრე კი იქვე მყოფ მსოფლიო პუბლიცისტიკის სიამაყესა და „ნაცგამპრავებელ“ ლადარიას სახეში ცხელი ჩაი შეასხა.**

გამოძიება დაადგენს, ცხელი ჩაი რეზო თაბუკაშვილმა მეორემ სახლიდან მოიტანა, თუ კაფეში თანამზრახველები ჰყავდა. ამ ეროვნულ უბედურებას ზედ დაერთო მეორე არანაკლებ დიდი უბედურება – იმავე დღეს, იმავე უბანში ავტობუსი დაეჯახა ქართული ნაციონალური იდეოლოგიის მამამთავარს, „თავისუფლების ინსტიტუტის“ დირექტორს ლევან რამიშვილს! სასწრაფო დახმარების მანქანაში ჭიაბერაშვილის მიერ გადაღებულმა ჭიაბერაშვილის სისხლდამდინარე და მომღიმარი სახის ფოტომ მსოფლიო ელვის სისწრაფით შემოირბინა.

ბუნდოვანებითაა მოცული ამ საშინელი დანაშაულის მოტივი. ამიტომ გამოვთქვამ ვარაუდს, იქნებ ძიებას სწორი გზის პოვნაში დავეხმარო – მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა დღისით-მზისით, შუაგულ თბილისში, ვაკეში მომიტინგე ქალებს რომ საჯაროდ დედა აგინა, გახსოვთ? როგორც ვიცი, რეზო თაბუკაშვილი ერთ-ერთი იმ შეგინებული, სულში ჩაფურთხებული, ნაცმოძრაობის მიერ ჩარეცხილი და არარაობად გამოცხადებული დედის შვილია. არა, შურისძიება აქ არაფერ შუაშია – უბრალოდ, შეუძლებელია ჭიაბერაშვილი და ლადარია ერთად ნახო და ხელი ჩაის ჭიქისკენ არ გაგექცეს.

რაც შეხება ლევან რამიშვილს. მას ალბათ ქუჩაში ავტობუსი გამოეკიდა და მძღოლის უყურადღებობაზე საუბარი ნამდვილად არ ღირს. როგორც გავიგე, ყოფილ ნაცბობოლებზე სერიოზულად ნადირობენ აგრეთვე ყვითელი სამარშრუტო ტაქსები, მეტროს მატარებლები და წართმეულ-ჩამორთმეული ჯიპები. იმ ასიათასობით მოსისხლესაც ნუ დაივიწყებთ, რომელთა შეძენაც ნაცმოძრაობის იდეოლოგებმა და „შემსრულებლებმა“ მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში მოახერხეს.

## ზეიმი მიბრძანებია!..

**დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, როგორც იმ კარგად დავიწყებულ კომუნისტურ ეპოქაში, ახლაც თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართა. სასიამოვნოა, რომ ეს არ იყო მტრის თვალის დასაყენებლად მოწყობილი პომპეზური წარმოდგენები - თბილისში, გორში, თელავში თუ სხვაგან, ყველა მსურველს შეეძლო, ახლოდან ენახა, ხელით შეხებოდა „ჯადოსნურ“ სამხედრო ტექნიკას, რომელსაც, სხვა დროს, როგორც წესი, ტელევიზორში თუ მოჰკრავდა თვალს; გასაუბრებოდა სამხედრო პირებს და სპეციალისტებს. გაიმართა სახალხო სეირნობები და ულამაზესი „ყვავილების დღესასწაულები“.**

იყო, რასაკვირველია, ამ დღესთან დაკავშირებული კორპორაციული, მეგობრულ-ოჯახური, ოფიციალური, ნახევრად ოფიციალური თუ ინტიმური შეხვედრები ქართული ღვინით, ჩოხებით, ფრაკებით, არქიელით და გუბერნატორით. პრეზიდენტისას ვერაფერს გეტყვით, მაგრამ საზეიმო მიღება გამართა პრემიერმა ღარიბაშვილმა. საინტერესოა, რომ მან წლევანდელი 26 მაისის საზეიმო მიღებაზე თბილისის მეროს მხოლოდ ერთი კანდიდატი ირმა ინაშვილი მიიწვია - ჟურნალისტი რომაა, იმიტომო.

კიდევ ერთი ინფორმაცია ჟურნალისტების გასახარად: გასულ კვირაში გამოქვეყნდა ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქართველი ჩინოვნიკების სია, რომელსაც სათავეში უდგას ჟურნალისტი აკაკი სიხარულიძე, კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი, რომელსაც 2013 წელს ხელფასისა და პრემიის სახით აუღია... 311 ათასი ლარი!

ღმერთო, როგორ გვიფასდება შრომა ჟურნალისტებს!

**მიხეილ დარახველიძე**

# შეცვლის პოროშენკო პოლიტიკურ ვექტორს?

**უკრაინამ საპრეზიდენტო არჩევნები გადააგორა. გადააგორა თუ გადააგორებინეს? ის, რომ გადააგორებინეს, ეჭვი არავის ეპარება, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნები წელს, მაგრამ გვიან შემოდგომით გაიმართებოდა. ასეთი იყო პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების, უკრაინის ოპოზიციის იაცენიუკის, კლიჩკოს, ტიაგნიბოკას და მაშინდელი პრეზიდენტის იანუკოვიჩის შეთანხმება.**

**მოქმედი პრეზიდენტი იანუკოვიჩი დათანხმდა საპრეზიდენტო არჩევნების 2015 წლიდან 2014 წლისთვის გადმოტანას, გარდა ამისა, კიევის მაიდნიდან ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების გაყვანას.**

**თებერვლის შეთანხმებას მელანიც არ ჰქონდა შემშრალი, რომ მაიდნის ექსტრემისტულმა ძალებმა, უკრაინის ოლიგარქებისა და აშშ-ის ფინანსურ-მორალური მხარდაჭერით, იერიში მიიტანეს პრეზიდენტ იანუკოვიჩის საბრძანებელზე და, იარაღის გამოყენების გზით, ხელში აიღეს სასახლე. იანუკოვიჩმა შეტევამდე დატოვა სასახლე და ხარკოვში გაემგზავრა, შემდეგ - როსტოვში.**

მანამდე კი მაიდნელმა ექსტრემისტულმა ძალებმა არა მარტო კიევის, არამედ უკრაინის დასავლეთის ქალაქების ადმინისტრაციული შენობები დაიპყრეს, მათში მომუშავე სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკებს სცემეს, და სამსახურებიდან, რომ იტყვიან, წიხლით და შეურაცხყოფით გაჰყარეს. პარტია „რეგიონების“ წარმომადგენლები, დასავლეთის რეგიონების ხელმძღვანელი მუშაკები ქუჩაში გამოიყვანეს, ცივ ზამთარში წყალი გადაასხეს, დააჩოქეს შეკრებილი ხალხის, უფრო სწორად ეგზალტირებული ბრბოს წინაშე და თანამდებობებიდან „ნებაყოფლობითი“ წასვლის განცხადებებზე ხელი მოაწერინეს.

ანტისახელისუფლებო მოქმედება გაცილებით ადრე, 2013 წლის შემოდგომაზე, დაიწყო, როდესაც იანუკოვიჩმა გადაწყვიტა, ხელი არ მოეწერა ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაზე. არადა ხელშეკრულების პარაფირებიდან ერთი წელი იყო გასული, რაც სრულ შესაძლებლობას აძლევდა იანუკოვიჩს ღრმად გაცნობოდა ხელშეკრულების ტექსტს.

როგორც ჩანს, მსგავსი რამ არ მომხდარა. სქელტანიანი დოკუმენტი 1500-ფურცლიანი, თანაც აღსავსე იურიდიული ორაზროვანი ტერმინოლოგიით, არცთუ იოლი წასაკითხი, მით უმეტეს გასაანალიზებელ-გასათავისებელი აღმოჩნდა.

ისე, როგორც ხელმძღვანელობას სჩვევია, იანუკოვიჩმაც შექმნა კომისია აღნიშნული ხელშეკრულების დეტალების შესწავლისთვის. კომისიამ, ნაცვლად იმისა, რომ პარაფირებამდე, ანუ ვილნიუსის სამიტამდე ერთი წლით ადრე, შეესწავლა და ევროკავშირის მოხელეებთან ერთად გაევლო საპარაფირო ტექსტი, აჰყვა ბრიუსელელი მაღალჩინოსნების მოთხოვნებს და პირობა დადო, რომ იანუკოვიჩს, უდავოდ შეაბამდნენ ეჟვანს და ვილნიუსის სამიტზე ხელს მოაწერინებდნენ.

**იბადება კითხვა — რა მიზანს ემსახურებოდა ბრიუსელის გეგმა? და იყო თუ არა ეს გეგმა ეკონომიკური?**

**დასაწყისიდანვე უნდა ითქვას, რომ ბრიუსელის გეგმას არაფერი აქვს საერთო ეკონომიკურობასთან. ის არის პოლიტიკური და ამ მიზნის შესასრულებლად ეკონომიკური ბერკეტებიცაა გამომყენებელი. მიზანი?**

**მიზანი მარტივი, თუმცა, მზაკვრულია — უკრაინის მიბმა ევროკავშირზე და მისი რუსეთის ორბიტიდან გაყვანა. საბოლოო ჯამში უკრაინის ანტირუსულ სახელმწიფოდ გადაქცევა.**

საბჭოთა კავშირის და ვარშავის სამხედრო ხელშეკრულების დაშლის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ დასავლეთს და მის ლიდერს — აშშ-ის სამშვიდობო პროგრამა შეემუშავებინა დამოუკიდებელი, კომუნიზმის იდეოლოგიისგან თავისუფალი რუსეთის მიმართ, რომელიც მიმართული იქნებოდა პრაგმატულ თანამშრომლობაზე, ვაშინგტონმა რუსეთის მოგუდვის გზა აირჩია, ანუ მისი დაშლის. მანამდე კი მისი გავლენის სფეროდან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაყვანის.

ყოველივე ეს მან წარმატებით გაიარა - ფულით, მოსყიდვით, აგიტაცია-პროპაგანდით, პოსტსაბჭოთა სივრცის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების წვრთნით, ფერად-ყვავილოვანი რევოლუციების მოწყობით და ა.შ.

რომ იტყვიან, ციხე შიგნიდან ტყდებაო და აშშ-მა უკრაინაში, საქართველოში, სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო ქსელი შექმნა, რომელიც გადააქცია ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციების სამჭედლოდ და რაც მთავარია, საკუთარი იდეოლოგიის გატარების გზად. პარალელურად აამოქმედა რესპუბლიკურ-დემოკრატიული პარტიების ფილიალები, „დემოკრატიული“, „თავისუფალი“ იდეების ხალხისთვის მისაწოდებლად.

20 წლის განმავლობაში ათასობით ყოფილმა საბჭოელმა ახალგაზრდამ, მათ შორის ქართველმა, ტრენინგები გაიარეს აშშ-ში, ბალტიისპირა ქვეყნებისა და პოლონეთის სასწავლო ბანაკებში. მსუყედ დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს პროპაგანდისტული საქმიანობა და ყველაფერი იღონეს ძველი ცხოვრების დავიწყებისთვის.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის უკრაინაც უდიდესი ამერიკული ზეგავლენის ქვეშ მოექცა, რამაც თავისთავად შეამზადა პოსტსაბჭოთა საზოგადოება, მათ შორის უკრაინული, ფერადი, ვითომდა უსისხლო რევოლუციებისთვის. და არა თუ შეამზადა, არამედ მოჭარბებულად პროამერიკული ადგილობრივი პარტიული კადრების წყალობით, განახორციელა კიდევაც. გავიხსენოთ იუშჩენკო-ტიმოშენკოს „გამარჯვება“ 2004 წლის არჩევნებში, როდესაც მიკერძოებულმა არბიტრმა, აშშ-მა გამარჯვებულ იანუკოვიჩს წითელი ბარათი ამოუღო და გამარჯვება არ ჩაუთვალა. დასამშვიდებლად ძვალი გადაუგდო - საპრეზიდენტო არჩევნების მესამე ტურის ჩატარების სახით.

იანუკოვიჩი დაამარცხეს, მაგრამ ამასთანავე დაამარცხეს უკრაინაც, რომელმაც ვერაფერი გაუგო იუშჩენკო-ტიმოშენკოს არაპროფესიონალურ მმართველობას. ქვეყანა კი მიექანებოდა ჭაობისკენ. საბჭოთა პერიოდის განვითარებული სამრეწველო-აგრარული უკრაინა, ოლიგარქების დაბეჯითებული მეცადინეობით, ძარცვით და გლეჯვით უღარიბეს ქვეყნად იქცა, ხოლო სახელმწიფო დოვლათმოთვისებული ოლიგარქები — მილიარდერებად.

აშშ-მა იოლად გამოძებნა გზა ქურდი ოლიგარქების დასაყვავებლად და მათი თოჯინებივით გამოსაყენებლად. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ვაშინგტონმა 5 მილიარდი დოლარი, სახელმწიფო ფული, დაახარჯა უკრაინის „დემოკრატიის“ განვითარებას. ერთი იმდენიც ამერიკულ ბიზნესს დაახარჯვინა, რითაც, საბოლოო ჯამში, მოახერხა ბანდერული, ანტირუსული ვნებების აღორძინება, ჯერ დასავლეთ უკრაინაში, შემდეგ ცენტრალურში.

მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაუსაძლისმა სოციალურმა პირობებმა აიძულა უკრაინის მოსახლეობა გადაერჩია იუშჩენკო-ტიმოშენკო და აერჩია იანუკოვიჩი. პრორუსად შერაცხილი იანუკოვიჩის გამარჯვება ამერიკისთვის დიდი მარცხი იყო, მაგრამ ეს ის ქვეყანა არ არის, იოლად რომ შეეგუოს წაგებას. მან, მართალია, თვალი მილულა ამაზე, მაგრამ არ დაუხუჭავს, პირიქით გააააქტიურა იატაკქვეშური მოქმედება და მთელი ძალები მიმართა 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატების მოსაპოვებლად. ამისთვის ამერიკულად განწყობილი კადრებიც გამოზარდა და მათთან პრაგმატული ურთიერთობებიც ჩამოაყალიბა.

რაც შეეხება პრეზიდენტ იანუკოვიჩს, ე.წ. პრორუსს, მაგრამ რეალურად პროდასავლურად გაჟღენთილს, ვაშინგტონმა ვერაფრით მოარგო საკუთარ პოლიტიკა. იანუკოვიჩს არაერთხელ უთქვამს, რომ მისი ოცნება იყო ევროკავშირში შესვლა, რითაც ის არაფრით განსხვავდებოდა სხვა უკრაინელი პოლიტიკოსებისგან, მაგრამ ამასთანავე, მას სურდა მოსკოვთან ნორმალური ურთიერთობების ქონაც.

იანუკოვიჩი ორ სკამზე იჯდა, მერყეობით შეპყრობილი, რაც სახელმწიფო მეთაურისთვის ერთობ არასასურველი თვისებაა. ეს მერყეობა დაარღვია უკრაინელი ოლიგარქების ჯგუფმა, რომლებმაც, ვილნიუსის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, აუხსნეს მას, რას ნიშნავდა ასოცირებული წევრობის დოკუმენტზე ხელის მოწერა.

აუხსნეს, რომ ხელმოწერის შემთხვევაში ქვეყანა დადგებოდა უმუშევრობის, ეკონომიკური და სოციალური კოლაფსის წინაშე. აუხსნეს ისიც, რომ უკრაინა უკვე იყო მძიმე ეკონომიკურ კრიზისში და დახუნძლულია უცხოური ვალებით; რომ ასოცირება ნიშნავს რუსეთთან ყოველგვარი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაწყვეტას, სამხედრო შეკვეთების შემსრულებელი ქარხნების, კვლევითი ინსტიტუტების დაკეტვას, მოსახლეობისთვის გაზის მოხმარების ფასების ზრდას, ისედაც უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნის, უმუშევრობის კიდევ უფრო ზრდას, კომუნალური გადასახადების გაძვირებას და ა.შ.

მოსალოდნელმა კატასტროფამ გადაათქმევინა იანუკოვიჩს ვილნიუსის სამიტზე ასოცირების დოკუმენტზე ხელის მოწერა, თუმცა, მან მიმართა ევროკავშირს უკრაინის ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად — პირველ ეტაპზე 20 მილიარდამდე ევროს გამოყოფისთვის. გარდა ამისა, წამოაყენა წინადადება კიევ-ბრიუსელ-მოსკოვის მოლაპარაკების დაწყებისთვის. 230 საწარმო, რომელიც რუსულ სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა, დახურვის წინაშე აღმოჩნდებოდა ასოცირებული ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

იანუკოვიჩი ევროკავშირს თხოვდა საკომპენსაციო თანხას, დაახლოებით 120 მილიარდ ევროს, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ევროკავშირისთვის, ისე, როგორც ბრიუსელ-კიევ-მოსკოვის მოლაპარაკება. პრეზიდენტმა ობამამ არაორაზროვნად განაცხადა, ან უკრაინა იქნება ცივილიზებულ ქვეყნებთან, ან ერთთან დარჩებაო.

იანუკოვიჩის გადაწყვეტილებამ და დასავლეთის მიზანმიმართულებამ უმალ ააგორა საპროტესტო ტალღა თავისი მაიდნით და დასავლეთ უკრაინიდან კიევში ჩაყვანილი მომიტინგეებით. მთელი სიმძლავრით ამუშავდა დასავლური პროპაგანდისტული მანქანა, დოლარები მიაწყდა უკრაინას და მასთან ერთად ევროპელ-ამერიკელი მაღალ-დაბალი რანგის პოლიტიკოს-მოხელეები. ყველა ისინი, ტვინს უბურღავდნენ იანუკოვიჩს და მოითხოვდნენ მისგან ასოცირების დოკუმენტზე ხელის მოწერას, აქეზებდნენ ოპოზიციას უფრო რადიკალური ქმედებისთვის.

ეს მცდელობა, კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც კრემლმა გადაწყვიტა 15 მილიარდი დოლარით დახმარებოდა უკრაინას, თან გაზის გადასახადიც დაეკლო. დასავლეთის წინაშე გაჩნდა საფრთხე - უკრაინის რუსეთისკენ გადახრის თვალსაზრისით, რამაც აფიქრებინა აშშ-ს ანტისახელისუფლებო გადატრიალების ფორსირება, ანუ 2015 წლის ანტიიანუკოვიჩის გამოსვლების, 2014 წელს გადმოტანა, რაც წარმატებით განახორციელა.

„აღმოსავლეთის პარტნიორობის“ გეგმის სულისჩამდგმელები არიან შვედეთი-პოლონეთი — რუსეთის ისტორიული მტრები. გეგმა ითვალისწინებს რუსული გავლენის აღმოფხრვას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ეს გეგმა არის ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შემცვლელი გეგმა. ის ვერ განხორციელდა კრემლის კატეგორიული პოზიციის გამო და ჩანაცვლდა მშვიდობიანი, „აღმოსავლეთის პარტნიორობით“.

ერთის შეხედვით, თითქოს ეს გეგმა უწყინარი რამ არის, მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით, ვინაიდან ხელმომწერ ქვეყანას აიძულებს, რუსეთთან ეკონომიკური კავშირების (განსაკუთრებით სამხედრო შეკვეთების დარგში) გაწყვეტას.

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ ხელმომწერ ქვეყანას აიძულებს, ევროკავშირს გაუხსნას ბაზარი, ამასთანავე თვით ევროკავშირიც გახსნის მისთვის თავის ბაზარს. თითქოს ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ როდესაც ქვეყანას არაფერი აქვს ევროკავშირში გასაყიდი, ანუ ვერ ამზადებს ისეთ პროდუქციას, ევროპელს რომ გამოადგება - ნიშნავს ცალმხრივობას. შენ ვერ ქმნი პროდუქციას ევროკავშირის ბაზრისთვის, ის კი სავსეა ჩაწოლილი პროდუქციით, რომელიც წალეკავს ხელმომწერი ქვეყნის ბაზარს, რაც საბოლოო ჯამში ჩაკლავს ადგილობრივ წარმოებას.

ევროპას არ ესაჭიროება უკრაინის სამხედრო ქარხნების პროდუქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქარხნები დაიხურება. უკრაინა მწარმოებლიდან, მომხმარებელ ქვეყნად იქცევა, თან კატასტროფული უმუშევრობით. ევროკავშირის საკონკურენციო ბაზარი, როგორც უკრაინული, ისე ქართული პროდუქციისთვის, არა მარტო იქ - ევროპაში, იქნება პრობლემა, არამედ უკრაინაში და საქართველოშიც.

გაუთვითცნობიერებელი სამი ქვეყნის ხალხი (უკრაინელი, ქართველი და მოლდოველი), ბრიუსელის დაპირებას აყოლილი, ფიქრობს, რომ ევროკავშირი ქარხნებსაც ააშენებს, ხალხსაც დააყენებს, დამზადებულ პროდუქციასაც გაყიდის და ააყვავებს, რაც ისეთივე ზღაპარია, როგორც კომუნიზმი.

ევროპას თავის თავი აქვს სარჩენი, თან უამრავი პრობლემა, რომელთა დაძლევა თითქმის შეუძლებელია. ევროკავშირის გაუარესებულმა ეკონომიკურ-სოციალურმა ვითარებამ, საკითხების პოლიტიზაციამ და ბრიუსელის, სხვა ჰეგემონისტური მიდრეკილების გამოვლინებამ კარდინალურად შეცვალა ბრიუსელის მიმართ ევროკავშირში შემავალი 28 ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულება.

სწორედ საყოველთაო უკმაყოფილებამ გამოიწვია მოსახლეობის ევროსკეპტიკური განწყობა და ევროპარლამენტის არჩევნებში ევროკავშირის დაშლის მსურველი პარტიების გამარჯვება. მართალია, მათ უდიდესი უმრავლესობა არ აქვთ ევროპარლამენტში, მაგრამ რაც აქვთ, საკმარისია იმისთვის, რომ მომავალი 5 წლის განმავლობაში წყალი შეუდგეს ამ კავშირს.

როგორც ჩანს, მოახლოვდა ევროკავშირის დაშლის ჟამი, რასაც ვერც უკრაინული და ვერც ქართული პოლიტიკა ვერ ჭვრეტს. დასავლურ პროპაგანდას და ანტირუსულ გეგმებს აყოლილნი თავქუდმოგლეჯილნი გავრბივართ იმისთვის, რომ ევროკავშირის ნანგრევებში მოვყვეთ. საბჭოთა კავშირის ნანგრევებმა ვერაფერი გვასწავლა...

უკრაინის შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალებიდან თითზე ჩამოსათვლელი თვეები გავიდა, მაგრამ დროებითმა ფაშისტურმა ხუნტამ მოახერხა ქვეყნის მოსახლეობის ისეთი აბუნტება, მაზეციერი რომ ვეღარ დაალაგებს ვითარებას. და ყოველივე ამაში უდიდესი წვლილი შეიტანა აშშ-ის ადმინისტრაციამ.

უკრაინა, დაპირისპირებული და ერთმანეთის მტრად გადაკიდებული, სხვადასხვა მიმართულებით იქაჩება — სამხრეთ-აღმოსავლეთი უკრაინა რუსეთისკენ, დასავლეთი - დასავლეთისკენ.

უკრაინას გამოეყო ყირიმის ნახევარკუნძული და რუსეთს შეუერთდა. ის აღარ დაუბრუნდება უკრაინას. მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელიც რუსეთს აიძულებს დააბრუნოს ყირიმი, ვინაიდან ყირიმში ჩატარებული „თვითგამორკვევის“ რეფერენდუმის შედეგები კანონიერია და თანაც გაცილებით მეტად, ვიდრე კოსოვოს დამოუკიდებლობა, რომელიც აღიარა ამერიკა-ევროპამ. აშშ და ევროპა, ყირიმის მოსახლეობის არჩევანს რუსულ ანექსიად მოიხსენიებს, რაც ისეთივე უსაფუძვლოა, როგორც კოსოვოს დამოუკიდებლობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დასავლური, კერძოდ ამერიკული, ორმაგი სტანდარტები მომაკვდინებლად მოქმედებს საერთაშორისო სამართალზე. ყირიმის გარდა ლუგანსკმა და დონეცკმა სახალხო რესპუბლიკა - ნოვოროსია დააარსეს და თავგანწირვით იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას კიევის ხუნტის არმიისგან.

და აი, ასეთ დროს საპრეზიდენტო არჩევნები! უნებლიეთ იბადება კითხვა - არ სჯობდა კიევში ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, იანუკოვიჩის მმართველობის დროებითი შენარჩუნება, კონსტიტუციის შეცვლა და წელსვე არჩევნების ჩატარება?

მაგრამ შეიარაღებული გადატრიალება უკვე მოხდა, არჩევნებიც დაინიშნა და ჩატარდა კიდევაც - გამარჯვებული პრეზიდენტიც გამოცხადდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც აშშ-ს სურდა. მისი სიჩქარე უკანონო პოლიტიკური ვითარების დაკანონება იყო.

საპრეზიდენტო არჩევნებმა უკანონობა, ყურით მოთრეული კანონიერებით გადაფარა. როდესაც ქვეყანაში არის ტერორი, მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, ქვეყნის აღმოსავლეთში მიმდინარეობს ომი, საპრეზიდენტო კანდიდატებს დობკინს, ცარიოვს, სიმონენკოს არ ატარებინებენ წინასაარჩევნო კამპანიას, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ, არ აძლევენ საატელევიზიო გამოსვლებისთვის დროს, სახლებს და ოფისებს უწვავენ - არჩევნები არ ჰქვია.

პოროშენკომ პირველ ტურში გაიმარჯვა, ვინაიდან ასე იყო დაგეგმილი ვაშინგტონში. ახალი პრეზიდენტი ვაშინგტონის შემოქმედებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრემლის მასთან ლაპარაკს აზრი არ აქვს. პოროშენკომ ერთ-ერთი გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ მზად არის მოსკოვთან მოსალაპარაკებლად ამერიკა-ევროკავშირთან ერთად. რა ნაცნობი განცხადებაა. ასე ამბობს საქართველოს ხელისუფლებაც. ეს კი თავისთავად მოწმობს კიევ-თბილისზე ვაშინგტონის დიქტატს.

და როდესაც ამგვარ უსუსურობასთან გვაქვს საქმე, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მოსკოვმა, ვაშინგტონთან შეთანხმებით, დაამზადოს კიევური „კოტლეტი“ ან ქართული „საცივი“. ჩვენ, ჩვენივე უგერგილობით, უთავმოყვარეობით და რაც მთავარია, უცოდინარობით, ვკარგავთ სუვერენიტეტს, 26 მაისის სხვა მონაპოვარს.

რუსული ანდაზაა — ცუდი მაგალითი გადამდებიაო. და მართლაც, რა ჭირი შეგვეყარა საქართველო-უკრაინას ასეთი, რომ ერთმანეთს ვასწრებთ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში?

უკრაინის საკითხი, მზაკვრულად დამუშავებული ვაშინგტონის მიერ და მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, არც ისე განხორციელდა, როგორც ვაშინგტონი ისურვებდა, მაგრამ ასრულდა მისი ოცნება — რუსეთის საზღვრებთან მუდმივი დაძაბულობის კერის შექმნასთან დაკავშირებით.

აშშ სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ქაოსს, თანაც ხანგრძლივს, ქმნის, ერთმანეთს ატაკებს ქვეყნებს, ხოლო თვითონ, ცხელი წერტილებიდან მოშორებით, საკუთარ კონტინენტზე ნებივრობს.

უკრაინის სახით, ამერიკამ დიდი პრობლემა შეუქმნა რუსეთს, რაც დიდ ნებისყოფასა და დაფიქრებას მოითხოვს. აშშ-მა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ რუსეთს ჯარი შეეყვანა უკრაინაში, რითაც აგორდებოდა ახალი ვიეტნამი, ანუ ვიეტნამი (უკრაინა) რუსეთისთვის. ხანგრძლივი ომი არა მარტო რუსეთს დააძაბუნებდა, არამედ უკრაინასაც გამოუყვანდა წირვას, თუმცა მას უკვე გამოუყვანეს წირვა.

უკრაინაში დაიწყო ქვეყნის დაქუცმაცების პროცესი, რომელსაც ვერც პოროშენკო და ვერც მამაზეციერი ვეღარ უშველის. და ამ დაქუცმაცებაში ლომის წილი შეიტანეს ე.წ. უკრაინელმა პოლიტიკოსებმა, ოლიგარქებმა, ანტიუკრაინულად განწყობილმა ელემენტებმა და, რაც მთავარია, ამერიკულ ყაიდაზე გამოზრდილმა, ამერიკული იდეალების მატარებლებმა.

აქვს პოროშენკოს რუსეთთან ურთიერთობის დალაგების შესაძლებლობა? საეჭვოა, ვინაიდან ის ამერიკის კაცია, მისი დასმული და მისი დირექტივების გამტარებელი. ასეთი კაცი პოლიტიკურ ვექტორს ვერ შეცვლის.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

◎ არქიტექტორი არქიტექტორის შესახებ

# განსაკუთრებული

## შოთა ბოსტანაშვილის გახსენება



**შეხვედრა. 1970 წელი.** შოთა, მესამე კურსის სტუდენტი, გიული გეგელიამ, მისმა ახალგაზრდა პედაგოგმა, სტუდენტურ საპროექტო სტუდიაში მოიყვანა,–კარგი ბიჭია, მიიღე სამუშაოზეო. მივიღე. მას შემდეგ 45 წელი ერთად განვვლეთ. შოთამ ჩემი რჩევით და ხელმძღვანელობით შეასრულა სადიპლომო პროექტი „ექსპერიმენტული სოფელი ხევსურეთში“, რომელმაც არქიტექურული სკოლების საკავშირო დათვალიერება-კონკურსში პირველი პრემია მიიღო. 20 წელი პარტნიორები ვიყავით, ერთად შევქმენით მრავალი პროექტი, ზოგიერთი ავაშენეთ, მათ შორის, არაერთი მემორიალი, გავიმარჯვეთ კონკურსებში, მივიღეთ პრემიები, გავხდით ლაურეატები. შოთა წარვადგინე არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიაში პროფესორად, მოგვიანებით ამავე აკადემიის მოსკოვის განყოფილების წევრ-კორესპონდენტად, ბოლოს კი საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად. წარდგენები წარმატებით დამთავრდა.

**გაჭრა. 1990 წელი.** ვზივართ ჩემთან სახელოსნოში, ვმუშაობთ ბარათაშვილის აღმართის პლატოს რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის მუშა ნახაზებზე, პროექტი დამტკიცებულია, ნახაზები ეჩქარებათ. რადიოში საბჭოთა კავშირის ჰიმნი დაუკრეს, საბჭოთა სალხმა უნდა დაისვენოს. რატომღაც მომინდა იმის გამხელა, რაზედაც კარგა ხანია, ვფიქრობ. – „შოთა, უკვე დროა, შენ იყო „შოთა ბოსტანაშვილი“ და არა „ვახტანგ დავითაია და შოთა ბოსტანაშვილი“, შენ უკვე მზადა ხარ ამისთვის“... შოთას ოცწლიან სკოლაგამოვლილს, არ შეიძლება ამაზე არ ეფიქრა, მაგრამ იცოდა არქიტექტურული საქმიანობა პროფესიონალიზმის გარდა, ბევრ სხვა, თანმდევ პრობლემებთან იყო დაკავშირეული, რომელიც თვითონ უნდა ემართა, ახალი თვისებები შეეძინა. მცირე პაუზის შემდეგ ამბობს: – „ძალიან გამიჭირდება მარტო“. ყველაფერი კარგად იქნებამეთქი. ეს იყო და ეს. ჩავამთავრეთ ის პროექტი და მას შემდეგ ერთად პროექტი არ შეგვიქმნია. მე მართალი აღმოვჩნდი, შოთამ „მარტომაც“ კარგად გაართვა საქმეებს თავი, ადრინდელ წარმატებებს ახალი მიამატა. მიუხედავად პარტნიორული გაყრისა, ჩვენ დაკავშირებულები ვიყავით ყოველდღიურობით, ერთობლივი პედაგოგიური მოღვაწეობით და საერთო პროფესიული და საზოგადოებრივი ინტერესებით და საქმიანობით.

**გარდაცვალება. 2013 წლის 29 მაისი.** ისე გარდაიცვალა, როგორც იცხოვრა. ის მუდმივ ბრძოლაში იყო და ბრძოლის ველზე დაეცა, ისე როგორც დაეცა ჩვენი დიდი მასწავლებელი ირაკლი ციციშვილი. შოთა მივიდა ლიტერატურის ინსტიტუტში მეგობრის და მისი ლიტერატურული კერპის ოთარ ჭილაძის „ხსოვნის დღეზე“, დადგა მიკროფონთან. დაეცა.

რა ჩქარა გაირბინა ერთმა წელმა...

* * *

**დამოუკიდებელ**, საბაზრო საქართველოში ჩვენ ცალ-ცალკე შევაბიჯეთ არც თუ ურიგო პროფესიული ავტორიტეტით და რეგალიებით, რაც ხელშემშლელი აღმოჩნდა პროფესიული საქმიანობისთვის. უფულო, მაგრამ დაუოკებელი სურვილებით აღსავსე „ახალ ქართველს“ არც რეგალიები, არც პროფესიონალიზმი და არც არქიტექტურა არ აინტერესებდა. მას იაფი პროექტი უნდოდა. ამის გამკეთებლებიც საკმაოდ იყვნენ. მე თბილისისთვის მნიშვნელოვანი საპროექტო წინადადებებით და არქიტექტურული პუბლიცისტიკით დავკავდი, შოთა კი „პოეზიის სახლის“ მშენებლობით და „პოეტიკის“ პრობლემებით.

შოთა ჩემი პირადი ტკივილია, მონატრებაა. უკვე ერთი წელია, არ მესმის მისი აღზნებული, ემოციური განსჯები ტელეფონით, გვიან ღამით, უფრო სწორად, სატელეფონო ჩხუბები. შოთა რადიკალი იყო. მას შუალედური ტონები ნაკლებად ხიბლავდა, ან უყვარდა, ან სძულდა.მე კი ასაკმა ადამიანის ქმედებებში და მოვლენებში გამართლების მოტივების ძიებისაკენ მიმმართა. ხშირად შევახსენებდი ელგუჯა ამაშუკელის შემწყნარებლურ ფრაზას – „რას იზამ, ადამიანია“.

მას ყველაფერი გულთან მიჰქონდა – ქვეყნის ბედი, პროფესიონალიზმის დეფიციტი, მომძლავრებული უხამსობა, ღირებულებათა დევალვაცია, სტუდენტის არაადეკვატური პასუხი მის თავდადებულ მცდელობებზე, დათოს დაუოჯახებლობა. გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე ვეკითხები – რას შვრება ეს დათო, სანამდე უნდა იაროს ასე თავისუფლად-მეთქი. – ეს ჩემი დიდი დარდიაო, შენ ხარ პირველი კაცი, რომელმაც თითქოს ჩემს გულში ჩაიხედეო.

მას უნდოდა ყველა მისნაირი ყოფილიყო – კეთილსინდისიერი, სამართლიანი, განათლებული, ერუდიტი, პროფესიონალი, ნიჭიერებასაც კი ავალდებულებდა.

იყო ზუსტი და პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე. ავკარგიანი თავაზიან სალამსაც კი დაგიმახსოვრებდა. წყენინებას კი ადვილად ვერ ივიწყებდა.

ცხოვრებისეულ საკითხში პრაქტიკულობით არ გამოირჩეოდა.

* * *

**ეერო საარინენი**, სიდნეის ოპერის თეატრის კონკურსზე წარმოდგენილი 223 პროექტიდან ერთ-ერთით განსაკუთრებით მოიხიბლა, რაშიც ჟიურის დანარჩენი სამი წევრი ვერ დაითანხმა. დაიქირავა კატარღა, შესცურეს ყურეში ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრზე და იქიდან „დაანახა“ ჟიურის წევრებს, თუ როგორი სივრცობრივი დრამატურგია ექნებოდა მის „დაცვის ქვეშ“ მყოფ პროექტს. ფაქტობრივად, ეერო საარინენმა აჩუქა სამყაროს XX საუკუნის უდიდესი არქიტექტურული ნაწარმოები – სიდნეის ოპერის თეატრი. გვირგვინი დაადგა სრულიად უცნობ ახალგაზრდა დანიელ არქიტექტორს იორნ უდზონს. ეს მაგალითი იმიტომ გავიხსენე, რომ შოთაც ასე თავდადებით, თავდაუზოგავად იცავდა საკუთარ მრწამსს, ეხებოდა ის პირადად მას თუ სხვას.

შოთა არ იყო დაჯილდოებული დიპლომატურად თვალის არიდების, არშემჩნევის ნიჭით, თუმცა, კარგად იცოდა, რომ ზოგჯერ არშემჩნევა შემჩნევაზე უკეთესია და საქმისთვისაც სასარგებლო.

პირველი აღმომჩენის დაუოკებელი ჟინი ჰქონდა. ზოგჯერ იმდენად გადამეტებულად და მყარად სჯეროდა თავისი შეხედულების სისწორის, რომ საწინააღმდეგო აზრს პირადულ შეურაცხყოფად თუ არა, შურად მაინც მიიჩნევდა.

* * *

**თაობის** (ჩარეცხილების) არქიტექტურული სტაგნაციის წლებში მთლიანად გადაერთო ტექსტებზე, სიტყვათა სემანტიკაზე, სიტყვებით თამაშზე, გამოსცა წიგნი „ოთხი ლაპარაკი“. იცოდა ეს ტექსტები ძნელად აღსაქმელი იქნებოდა ფართო საზოგადოებისთვის, ამიტომ თვითონვე წერდა კომენტარებს, წინათქმებს. ბატონმა როსტომ ჩხეიძემ „ერთი ლექსის“ რუბრიკაც კი გაუხსნა. „ჩვენი მწერლების“ აქტიური მკითხველი ვიყავი და, როგორც ყოველთვის და როგორც ყველა, პირველ რიგში მეგობარი ავტორების ტექსტებს ვკითხულობდი. მოუთმენლად ელოდა ჩემს კომენტარს, მე კი ერთსა და იმავეს ვეუბნებოდი; საინტერესოა, მაგრამ ემოციურ კავშირს ვერ ვამყარებ, ჟანრში ვერ გავერკვიე, რა ვქნა, არ ვიცი ეს „საქმე“-მეთქი. წყინდა, იბუტებოდა, იწყებდა განმარტებებს, რა ხდება დღეს ფილოსოფიაში, ლიტერატურაში.

პედაგოგიური მოღვაწეობა შოთას ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობა იყო. ის გრძნობდა დროის აჩქარებულ მაჯისცემას, ცვლილებების აუცილებლობას. 1990 წელს არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩამოაყალიბა „არქიტექტურული პოეტიკის“ სტუდია. სტუდიამ სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიზიდა. მე, როგორც არქიტექტურული გეგმარების კათედრის გამგე, წარვმართავდი საკურსო და სადიპლომო პროექტების დაცვის პროცესს, შეუცდომლად ვცნობდი შოთას სტუდიელების ხელწერას. რამდენიმე წელიწადში ეს „კომპოზიციური თამაშები“ სერიოზულ შემოქმედებით და მეთოდოლოგიურ ფაქტად იქცა. არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს ბ-ნ გიორგი სტოილოვს შევთავაზე 1997 წლის სოფიის არქიტექტურის მსოფლიო ბიენალეს პროგრამაში შეეტანა „პოეტიკის“ სტუდიის გამოფენა-პრეზენტაცია. თანხმობა მივიღე. „პოეტიკის“ ინსტალაციების გამოფენა და შოთას მოხსენება 1997 წლის ბიენალეს ერთ-ერთ საინტერესო არქიტექტურულ ფაქტად იქნა აღიარებული.

შოთას ჯანმრთელობა, ფსიქიკა ძლიერ შეარყია იმ ვანდალიზმმა, რომელმაც მის „პოეზიის სასახლეს“ დამართეს კუჭისტმა ველურებმა. ამ ობიექტისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და იმედები ჰქონდა. ის იყო „არქიტექტურული პოეტიკის“ პრაქტიკული რეალიზაცია. „თეთრი გვირილები“ ამ არეალის ტაძრად ეკურთხა, ამ სამმა გიგანტურმა გვირილამ ძლიერი ემოციური მუხტი შეიტანა ურბანულ გარემოში. შეიძლებოდა თუ არა მისი გადარჩენა? ექნებოდა თუ არა შედეგი ბრძოლას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე? თვითმპყრობელური რეჟიმის პერიოდში ეს წყლის ნაყვა იყო. მეწყერი დაიძრა და თავისშეშვერას აზრი არ ჰქონდა.

**შოთას 60 წლის იუბილეზე (2008წ.) მისალოცი წერილი მივუძღვენი, რომელიც ასე მთავრდებოდა – „არ იქნება გადამეტებული, თუ შოთა ბოსტანაშვილის, როგორც შემოქმედის, პედაგოგის, მოქალაქის დასახასიათებლად მოვუხმობ სიტყვას – „განსაკუთრებული“. ამ მოგონებასაც ასე ვამთავრებ.**

**ვახტანგ დავითაია**
**28.05.2014.**

◎ თალლითური გარიგება

# ნაციონალებმა უმნიშვნელოვანესი ობიექტი უცხოელს მიჰყიდეს, ის კი ქართველ მეწარმეებს ავიწროვებს

**იმის გამო რომ წინა ხელისუფლებას შეგნებულად არ ჰქონდა მიღებული და დამტკიცებული ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ნუსხა, სააკაშვილის გუნდს შეეძლო ნებისმიერი ობიექტის გაყიდვა – გრძელვადიანი გასხვისება. სხვა მსხვილ ქალაქებთან ერთად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ბათუმშიც. მისი აეროპორტი გრძელი ვადით გაასხვისა, თანაც ისე, რომ აეროპორტს თურქეთის შიდა მომსახურების ობიექტის სტატუსი მიენიჭა. სიმბოლურ ფასად 1 ლარად აჭარის მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვარშალომიძე მიწის სერიოზულ ნაკვეთებსა და ფეშენებელურ შენობებს არიგებდა სააკაშვილის ახლობლებზე, მათ შორის, ექსპრეზიდენტის დედაზეც.**

2008 წელს, თებერვალში ბათუმის საზღვაო ნავსადგურის 49-წლიანი მართვის უფლება „ყაზტრანსოილის“ შვილობილმა კომპანია „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგმა“ შეიძინა. პორტში ყველაფერი ნორმალურად ხელშეკრულებისდა მიხედვით სრულდებოდა, რომლითაც კომპანია, რომელიც საბანკო გარანტიას წარმოადგენდა და ამასთანავე, დეპოზიტზე გაფორმებული ექნებოდა ნახევარი მილიონი ლარი, ისარგებლებდა მომსახურებისათვის ფასდაკლებით. ეს პირობები ეხებოდა თავად „ჰოლდინგსაც“.

ყველაფერი შეიცვალა 2012 წლის დეკემბრიდან, როდესაც „ბათუმის ჰოლდინგის“ დირექტორად დაინიშნა საეჭვო რეპუტაციის ტალგატ ბაიტაზიევი. რამდენიმე თვეში მისი ხელდასხმით შეიქმნა ახალი კომპანიები, რომლებიც მის ნათესავებს ეკუთვნოდათ. ამ კომპანიებს დირექტორი უქმნიდა სასათბურე პირობებს, პირველ რიგში ფასდაკლებებს მომსახურების გარეშე. დანარჩენ ქართულ თუ უცხოურ ფირმებს ეს შეღავათები გაუუქმდათ, პორტში შეიქმნა არაკონკურენტული გარემო. გამოუცდელი კომპანიების პორტში შესვლამ კი გამოიწვია მშრალი ტვირთების გადაზიდვების საგრძნობლად შემცირება. ერთ-ერთ გადამზიდ, ფირმის „ტრანსისტემის“ დირექტორის **გელა ლაითიძის** ინფორმაციით, მისი ფირმა ერთ-ერთი წარმატებული იყო პორტში. თუკი „ტრანსისტემის“ შესვლამდე პორტში ტვირთების გადაზიდვა მლნ ტონას უახლოვდებოდა, მისი გამოჩენის შემდეგ გადაზიდვამ 1,5 მლნ ტონამდე აიწია, მაგრამ 2013 წ. პირველ კვარტალში ბაიტაზიევმა ყველა კომპანიის ერთდროული შევიწროება დაიწყო, მათ შორის წარმატებულებისაც. შეიქმნა ახალი ფირმა „ჯპმს გრუპი“, რომელიც ყველა დანარჩენს დაუპირისპირა. მას დირექტორმა სასათბურე პირობები შეუქმნა, როდესაც საზღვაო ნავსადგურთან გააფორმებინა ყოველგვარი შეთანხმების გარეშე 20 პროცენტიანი ფასდაკლების ხელშეკრულება.

„ტრანსსისტემის“ ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აცხადებს, რომ ბაიტაზიევი არის საეჭვო წარსულის პიროვნება, რის შესახებაც ყაზახური პრესა არაერთგზის წერდა.

როგორც უცხოური, ისე ყაზახური პრესა წერდა და წერს, რომ 2013 წლის თებერვალში ყაზახეთში აგორდა ნავთობის სკანდალი. ძებნა გამოცხადდა ერთ-ერთი მსხვილი რეგიონის ხელმძღვანელზე, რომელსაც შექმნილი ჰყავდა 35-კაციანი დაჯგუფება და სახელმწიფოს 71 მლნ დოლარის ზარალი მიაყენა. იმ პერიოდში ბაიტაზიევი მუშაობდა ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დირექტორად, სადაც აღნიშნული კრიმინალური დაჯგუფება მოქმედებდა.

ყაზახი ჟურნალისტი დენის ყარამანოვი წერს, რომ „ბათუმი ჰოლდინგის“ დირექტორი გამოძიებას კვიპროსში ემალება. ამის მიზეზია, რომ იგი იშვიათად ჩადის ბათუმში და საერთოდ არ ჩადის სამშობლოში.

ადვოკატი დიმიტრი გაბუნია წერილობით მიმართავს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ყაზახეთის საელჩოს საქართველოში და „ტრანსოილს“ ყურადღებით შეისწავლონ დირექტორის საქმე.

ბათუმის საერთაშორისო ტერმინალმა BIGT-მა უკვე შეიტანა სარჩელი საარბიტრაჟო სასამართლოში.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ დახმარების პროგრამა

# ბიზნესის მხარში ამოდგომით

**საძართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმეთა მხარდაჭერა, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, ახალ საწარმოთა გახსნა, ფინანსურ სახსრებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ბიზნესმენთა ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა — ეს არის სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მთავარი მიზნები და მიმართულებები. 1 ივნისიდან ამოქმედებული ამ სამთავრობო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ასევე საკონსულტაციო მომსახურება.**

— ბოლო წლინახევრის მანძილზე მთავრობამ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის მხრივ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. თავდაპირველად აქცენტი სოფლის მეურნეობის დარგების დახმარებაზე იყო გადატანილი, კერძოდ, შესაბამისმა სამინისტრომ მთელ რიგ სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად რამდენიმე პროგრამა შეიმუშავა, რამაც გარკვეული დადებითი შედეგი გამოიღო, — განაცხადა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ **გიორგი ციკოლიამ**. — ამჟამად სასოფლო-სამეურნეოს არასასოფლო-სამეურნეო სექტორიც დაემატა. მთავარი აქ ისაა, რომ პროგრამა, უწინარესად, ახალ ბიზნესებზე, ეგრეთ წოდებულ „სტარტაპებზეა“ ორიენტირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **საკუთარი საქმის წამოწყების, ახალი კომპანიის დაუძნების ყველა მსურველს ივნისის პირველი რიცხვებიდანვე შეუძლია კომერციულ ბანკებს სათანადო განცხადებით მიმართოს და, პროგრამის ფარგლებში, კრედიტის დამტკიცებისას, გარკვეული შეღავათები მიიღოს.**

კერძოდ, ლაპარაკია პირველი ორი წლის მანძილზე საბანკო კრედიტის დაზღვევაზე. ნებისმიერი ახალი საქმისთვის, ვიდრე ის საბოლოოდ გაიმართებოდეს, სწორედ პირველი წლებია ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი, ამდენად სესხის დაზღვევას, ნებისმიერ შემთხვევაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამის შესაბამისად, **ამ პირველი ორი წლის განმავლობაში, მთავრობასა და კომბანკებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, საპროცენტო განაკვეთი 13-ზე მეტი არ იქნება, საიდანაც 10 პროცენტს მთავრობა დააფინანსებს. ამ საშეღავათო პერიოდში ბენეფიციარის ხარჯი ბანკთან, ფაქტობრივად, 1-3 პროცენტის ფარგლებში იმერყევებს.** მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საბანკო კრედიტის აღებისას ახალი საქმის წამომწყებს გირაოს პრობლემა აქვს, ამდენად, ამ მხრივ **მთავრობის მიერ ბენეფიციარისთვის საგირავნოს 30-პროცენტიანი დაფინანსება პროგრამის კიდევ ერთი დადებითი გარემოებაა.** კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ **ბენეფიციარის მიერ ბანკიდან, ვთქვათ, 100 ათასი დოლარის გამოტანის შემთხვევაში, თანხის 30 პროცენტს 2-დან 4 წლამდე ვადით სახელმწიფო დააზღვევს. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ საბანკო სესხების ოდენობის ზედა და ქვედა ზღვრებია დაწესებული და ისინი 150 ათასიდან 2 მილიონ დოლარამდე ჩარჩოშია მოქცეული.** თუმცა ისიც კია, რომ გამონაკლის შემთხვევში გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ პროექტის ღირებულება, შესაძლოა, ორმილიონიან ლიმიტს გასცდეს — ბენეფიციარს ამაზე მეტი სესხის აღების მოთხოვნის დაყენებაც შეუძლია, ოღონდ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ სესხის სუბსიდირება მხოლოდ ორი მილიონი დოლარის ფარგლებში განხორციელდება, დანარჩენზე პასუხისმგებლობა მთლიანად მსესხებლის პრეროგატივა იქნება და ეს უშუალოდ ბანკთან მორიგების თემა გახდება. **რაც შეეხება გირაოს, ამ შემთხვევში პროგრამით მისი დაზღვევის ზედა ზღვარი მილიონი ლარითაა დადგენილი.**

იმის გათვალისწინებით, რომ სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსური რესურსი 46 მილიონი დოლარითაა განსაზღვრული, ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა გარკვეულწილად შეზღუდულია და სამამულო ეკონომიკის უკლებლივ ყველა დარგს ერთიანად ვერ გაწვდება. აქედან გამომდინარე, **პროგრამის ფარგლებში შერჩეულია ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უფრო პრიორიტეტული დარგები,** სადაც სახელმწიფოს დამატებით ხელშეწყობას მეტი ეფექტის და კარგი შედეგის მიღებაა შესაძლო. ესენია, ვთქვათ, სამშენებლო და შესაფუთი მასალების, პლასტმასისა და რეზინის, ავეჯის წარმოება, ხის მერქნის გადამუშავება და სხვ.

პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ ჩართული ბენეფიციარებისთვის უაღრესად საგულისხმო ისიცაა, რომ მათ **საშუალება ექნებათ ასევე სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შეღავათითაც ისარგებლონ და ეს ფინანსური რესურსით სარგებლობას არანაირად არ შეზღუდვას.** ამ მიზნისთვის წინასწარ დაახლოებით ასი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტია შერჩეული მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელთაგან დაახლოებით ორი მეხუთედი დედაქალაქშია. ბუნებრივია, რომ ბენეფიციარზე სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადასაცემად იგი გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, თუ, ვთქვათ, **ბენეფიციარი თბილისში მდებარე ობიექტს შეარჩევს, მან აუცილებლად უნდა მოახდინოს მის ღირებულებაზე ექვსჯერ მეტი ოდენობის თანხის ინვესტირება, ხოლო მხარეებში ეს ზღვარი ოთხჯერადია.**

მხარდაჭერის პროგრამის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პროფესიული **საკონსულტაციო მომსახურება, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების მოძიებასა და მათ სათანადო გამოყენებაში რჩევების მიცემას გულისხმობს.** ამ მხრივ თითოეული ბენეფიციარისთვის გარკვეული ლიმიტირებული თანხები — ათიდან ოციათას ლარამდეა გათვალისწინებული.

ოთარ ტურაბელიძე

## დედამიწის ზურგზე

**ჩინეთში იუნანის პროვინციაში იზრდება მიწისძვრისგან დაზარალებულთა რიცხვი — ისინი უკვე დაახლოებით 200 ათასი კაცია**

**ბოლო მონაცემებით, დაზარალებულთა ოდენობა დაახლოებით 177 ათასი კაცია. თუმცა, ადრე მხოლოდ 29 დაჭრილის შესახებ იტყობინებოდნენ. 48 კაცი დაჭრილია, 45 ათასი ევაკუირებული. მიწისქვეშა ბიძგებმა დაანგრიეს თითქმის 3,4 ათასი სახლი. ზარალს მილიონობით დოლარად აფასებენ.**

**უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში მეამბოხეთა წინააღმდეგ ძალოვანი ოპერაცია შეიძლება ერთი წლით გაიჭიმოს, მიაჩნიათ „დონბასის“ ბატალიონის ხელმძღვანელობაში**

**მიუხედავად სპეციალური ოპერაციის გამკაცრებისა, მეამბოხეები არ ნებდებიან. ლუგანსკში სერიოზული ბრძოლები გაჩაღდა მირნის კვარტალში, სადაც დაახლოებით 200 მეამბოხემ შეუტია ადგილობრივ სასაზღვრო რაზმს. მესაზღვრეებს შორის არიან დაჭრილები. ამ დროს დონეცკელმა მეამბოხეებმა განაცხადეს ტყვეების გაცვლის შესახებ.**

**ლეგენდარული კუსტოს შვილიშვილმა ჩაყვინთა წყალქვეშა ლაბორატორიაში, სადაც 31 დღეს გაატარებს**

**ფაბიენ კუსტოს განზრახული აქვს ამრიგად მოხსნას თავისი ბაბუის რეკორდი. 1963 წელს ჟაკ-ივ კუსტო ზუსტად 30 დღე დეინვერის გუნდთან ერთად წითელ ზღვაში საკვლევ სადგურზე იმყოფებოდა. მისი შვილიშვილი თავისი მიღწევისათვის გამოიყენებს ლაბორატორიას ამერიკის ფლორიდის შტატში.**

**ატლანტიკის ოკეანეში გრიგალების ახალი სეზონი დაიწყო**

**კეთდება პროგნოზები, რომ იგი ძალიან აქტიური არ იქნება. ზოგჯერ გრიგალების სეზონი ვადაზე რამდენიმე ხნით ადრეც კი იწყებოდა. მაგრამ წელს ეს არ მომხდარა: ატლანტიკის თავზე ჯერჯერობით არც ერთი ტროპიკული შტორმი არ ჩამოყალიბებულა.**

◎ ინფორმაცია

## მარიხუანას მომხმარებლებს მინისტრმა მწვანე გზა გაუხსნა

**მარიხუანას მოხმარების შემთხვევაში არაადეკვატურად მკაცრი ზომები აღარ იქნება მიღებული, — ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.**

**მისივე თქმით, შეიცვლება მიდგომა სააფთიაქო ნარკომანიასთან მიმართებაშიც და სააფთიაქო ნარკომანიისადმი არაადეკვატურად ლიბერალური მიდგომა აღარ იქნება. როგორც სერგეენკო აღნიშნავს, მთავრობა უახლოეს მომავალში ნარკოსტრატეგიასთან დაკავშირებით ახალ დოკუმენტს წარმოადგენს.**

**— ნარკოპოლიტიკა ზოგადად მოიაზრებს რამდენიმე მიმართულებას. ეს მიმართულებებია, მაგალითად მარიხუანასთან და ე.წ. მსუბუქ ნარკოტიკებთან მიმართული პოლიტიკა. არის თვითონ ნარკოდამოკიდებულების მკურნალობა-რეაბილიტაციის პოლიტიკა და სააფთიაქო ნარკომანია. მსუბუქ ნარკოტიკებთან იყო არაადეკვატურად მკაცრი დამოკიდებულება, სააფთიაქო ნარკომანიასთან კი — აბსოლუტურად აბსურდამდე მისული ლიბერალიზაცია. ამოცანაა, რომ არა მხოლოდ მარიხუანაზე ვიმუშაოთ. რა თქმა უნდა, ეს აბსურდული გამკაცრება არის გასასწორებელი, მეორე მხრივ, მთლიანად პოლიტიკაა წესრიგში მოსაყვანი. ჩვენ ვცდილობთ, სამივე მოვაგვაროთ, მარიხუანას შემთხვევაში არაადეკვატურად მკაცრი ზომები აღარ იქნება მიღებული, ხოლო სააფთიაქო ნარკომანიასთან მიმართებაში აბსურდულად და არაადეკვატურად ლიბერალური მიდგომაც აღარ იქნება. იქნება ჰარმონიზებული, სწორი და რაღაც ლოგიკაზე დაქვემდებარებული მიდგომა, — განაცხადა დავით სერგეენკომ.**

◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● აქამდე რატომ არ დააწინაურეს, პანღურის ამომრტყმელი, ვანოს ყურმოჭრილი მონა, საკვირველი ეგ არის!

კარგი მენეჯერი არის ის, ვინც ასაქმებს თავისუფალ და ღირსეულ ადამიანებს და ანდობს მათ თავად გადაჭრან პრობლემები მათთან დაქვემდებარებულ უწყებებში! ცუდი მენეჯერები კი, ასაქმებენ უღირს მონებს, რომლებიც უსიტყვოდ შეასრულებენ მათ ბრძანებებს სორბონას პირველი კურსის პროგრამიდან.

● სააკაშვილი უკვე სხვა ქვეყნებს პატრონობს, ადეიშვილი ევროპას უწევს კონსულტაციებს, კეზერაშვილი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს, უგულავა აქ გულაობს, დათა ახალაია თავისუფალია, საცაა ბაჩო ახალაიაც გამოვა, დანარჩენები გარეთ, გარეთ კი არა — პარლამენტში არიან და შესანიშნავად გრძნობენ თავს. ცოტაც და ვანოც წამოეშველებათ და მერე რაღა დაუდგებათ წინ?

ახლახან ჩაის სმაშიც ივარჯიშეს ბიჭებმა. ვარდებიღა დაჭირდებათ და არც ეგაა პრობლემა.

შენ დაუკა, ოცნებავ!

● თბილისელებო არ გიტყდებათ, რომ ელემენტარულად გაბოლებენ?, ცალკე საკრებულოს კანდიდატები და ცალკე მერობის?

მე არ მოგატყუებთ და მკითხეთ რაც გინდათ... თუ გინდათ კაი ცხოვრებასაც შეგპირდებით, მარა კენჭს არ ვიყრი და რა ვქნა?

● ე, ბიჭო გააჩერეთ ეგ ასი ქარხანა თვარა, დაგვაყრუა „გუგუნმა“ და მოგვწამლა გამონაბოლქვმა...

● დემოკრატია ბერძნული სიტყვაა და ქართულად პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მოსპობას ნიშნავს.

● ახალი არჩევნების დალოდებამდე დარჩა 14 დღე!

● ხოოო, მასე ქენით მასე და .. მერე ევროკავშირში სულ ტაშისკვრით მიგვიღებენ და მაპს კი არ პირდაპირ ნატოში შეგვიყვანენ — ამ კაცს ვინ ყავს „სპიჩმეიკერი“იცით ვინმეემ? მალადეც, ძმაო თქვენ.. მერე იტყვით ევროპა რატო გვაგინებსო. ამას რო იტყვი, შეგაგინებს აბა რა იქნება, ა? — თქვენ მალე ისე იზამთ, მაკდონალდსში დაგვიწესებენ სავიზო რეჟიმს შესვლაზე...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

### ობიექტი №1

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი პიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ;<br>ბ) ობიექტის მურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავების შემთხვევაში შერჩეული უნდა იქნეს მუხტის ოპტიმალური სიდიდე, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს აფეთქებიდან გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებს;<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს სამუდამო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. დედოფლისწყაროს მიმდებარე ტერიტორია, „დედოფლისწყაროს" (უბანი არწივის ხევი II) კირქვის (საცემენტე) საბადო (კატეგორია - B, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური (I და II უბანზე) მოცულობა - 315 733 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. დედოფლისწყაროს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 28 153 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 815,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 831 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 3 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 3 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი №2

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ექსპლუატაციის დროს უნდა შენარჩუნდეს არსებული ნაპირსამაგრი ნაგებობის მდგომარეობა;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. სანიორეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ლოპოტის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 21 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. სანიორეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 512 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 351,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 902 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 3 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 3 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი №3

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაქრიანის მიმდებარე ტერიტორია, წდ. ალაზანზე „ალაზანის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 20 400 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაქრიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 316 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 331,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 863 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 3 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 3 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი №4

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ოპერეტორს ჰესის არეალში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და შპს „ჩეკვარი ენერგიას" შორის 2013 წლის 23 ნოემბერს გაფორმებული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის ბიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხრამუხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „ცხრამუხის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 32 400 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხრამუხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 932 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 493,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 186 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 3 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 3 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი №5

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ოპერეტორს ჰესის არეალში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა |

| | | |
|---|---|---|
| | | (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. პავლეურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. არაგვზე „არაგვისპირის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C, მოსაპოვებელი ნიადისეულის ჯამური მოცულობა - 19 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. პავლეურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 219 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 321,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 844 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 3 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 3 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ზემოდან ქვემოთ, ქვეყანაში მოქმედი უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. არავგის მიმდებარე ტერიტორია, „არაგვა" ვულკანური ღორღის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი ნიადისეულის ჯამური მოცულობა - 97 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. არავგის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 3 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №20** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი |

| | | |
|---|---|---|
| | | წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელების საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ქის და ქაბურდილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ქაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გაცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე;<br>ი) შესრულის შედეგად მიღებულ მასალებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს საბადოს (წყლის) მარაგების გამოთვლა და შესაბამის სტრუქტურაში დასამტკიცებლად ნარდგენა;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მარაგების დამტკიცების შემდგომ განახორციელოს საბადოს სანიტარული ზონების დადგენა და დ«ცე»;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა ექსპლუატაციის პერიოდში უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვება და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი (გარდა სამეურნეო ტექნიკური წყლისა);<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გაცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის ტერიტორიაზე მინერალური ტალახი (ჩამოსასხმელი) ნყალი (კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1000მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბანი |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 25 857 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 585,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუსმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 371 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 3 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 3 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 3 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასისა გადახდა ჯამარუკენულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◎ მეტყველი სტატისტიკა

# სად არის სიმართლე?

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2013 წლის დასაქმების მაჩვენებლები გამოაქვეყნა. სტატისტიკა გვეუბნება, რომ 2013 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე, 2012 წელთან შედარებით, 0.4 პროცენტით შემცირდა და 14.6 პროცენტი შეადგინა. სხვაგვარად ეს ნიშნავს, რომ სტატისტიკის თანახმად, საქართველოში მოსახლეობის 85 პროცენტი დასაქმებულად ითვლება.**

ეს მაშინ, როცა ნებისმიერი კვლევის მიხედვით, თუნდაც NDI-ის მიერ გასულ თვეს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 67 პროცენტი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. ქვეყანაში ნომერ პირველ პრობლემად სწორედ უმუშევრობის პრობლემა სახელდება.



ჩვენ ადრეც აღგვინიშნავს, რომ ოფიციალური სტატისტიკის ასეთი ოპტიმისტურობის ერთ-ერთი მიზეზი მეთოდოლოგიაა, რომელიც სოფლის მეურნეობაში ჩართულ მოსახლეობას თვითდასაქმებულად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ, სტატისტიკა ამბობს, რომ უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლად, ქალაქთან შედარებით. 2013 წელს 2012 წელთან შედარებით უმუშევრობის დონის თანაბარი (დაახლოებით, 0,4-პროცენტიანი) კლება აღირიცხა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში და, შესაბამისად, ქალაქში უმუშევრობამ 25.6 და სოფლად 6.5 პროცენტი შეადგინა. ტრადიციულად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი.

რაც შეეხება უმუშევრობის დონის მაჩვენებელს რეგიონალურ ჭრილში, წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონის ზრდა მხოლოდ აჭარაში აღინიშნა (1.7 პროცენტით). თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია რეგიონებს შორის, აღნიშნული მაჩვენებელი უცვლელი დარჩა, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში 3.0 პუნქტით შემცირდა.

რეალური დასაქმების დონე (თვითდასაქმებულებს თუ არ ჩავთვლით) შემცირდა, ანუ ბიზნესმა საქართველოში 2013 წელს უფრო ნაკლები ადამიანი დაასაქმა, ვიდრე გასულ წლებში.

სხვათა შორის, თუ გასული წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს გავითვალისწინებთ (3,2 პროცენტი), ეს არც არის მოულოდნელი.

სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში ბოლო წლის მანძილზე რაიმე ხელშესახები ცვლილების მიღწევა ვერ მოხერხდა.

თუმცა, საინტერესოა ერთი დეტალი, რომელიც ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დასაქმებას უკავშირდება და, ასაკის შესაბამისად, დასაქმებაში მცირე ცვლილებას აჩვენებს:

უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2013 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს ახალგაზრდებში მიაღწია. თუმცა, შემცირებულია 35 და ზევით ასაკობრივ ჯგუფებში.

**ნინო ევგენიძე,**
**რადიო „თავისუფლება“**

◎ ალიანჩალიანი

## იუკნევიჩენეს თუ ვუსმინეთ, ნატოში მარტო თბილისს მიიღებს

**ალიანსის ზოგიერთი წევრი ჯერაც ფიქრობს, რომ გაუმართლებელია, ნატომ თავის რიგებში მიიღოს ქვეყანა ტერიტორიული პრობლემებით, — ამის შესახებ ლიტვის თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ნატო-ში ქვეყნის დელეგაციის წევრი რასა იუკნევიჩენე აცხადებს.**

**მისივე განმარტებით, ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევაშიც კი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვაშინგტონის ხელშეკრულება და მისი მეხუთე მუხლი, რომ ნატოს რომელიმე წევრ ქვეყანაზე თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმად ფასდება, არ გავრცელდება.**

**— ჯერჯერობით საკითხი ასე დგას — ნატოს ქარტიის მეხუთე მუხლი არ იმოქმედებს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ოკუპირებულია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აფხაზეთის ან სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა უნდა აღიაროთ ან ოკუპაციას შეეგუოთ, მაგრამ ალიანსის ზოგიერთი წევრი ჯერაც ფიქრობს, რომ გაუმართლებელია, ნატომ თავის რიგებში მიიღოს ქვეყანა ტერიტორიული პრობლემებით. მაპის მოპოვებისას რეალობას თვალი უნდა გაუსწოროთ — ნატოში გაწევრიანების შემთხვევაშიც კი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვაშინგტონის ხელშეკრულება არ გავრცელდება, განსაკუთრებით კი — მისი მეხუთე მუხლი, რომლის თანახმადაც, ნატოს რომელიმე წევრ ქვეყანაზე თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმად ფასდება. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დრო გადის — დღევანდელი მოცემულობა, ავია ის თუ კარგი, შეიძლება ხვალ აღარ იყოს აქტუალური. ოკუპირებული ტერიტორიების აუღიარებლობა, რა თქმა უნდა, ტოპპრიორიტეტია, მაგრამ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, საქართველოს დანარჩენი ნაწილი მაინც იყოს ნატოს შემადგენლობაში, ვიდრე საერთოდ ალიანსის მიღმა დარჩეთ, — აცხადებს რასა იუკნევიჩენე.**

**ამასთან, ლიტვის თავდაცვის ყოფილი მინისტრის თქმით, მხოლოდ ნატოს წევრობა იძლევა ბარდ-უსაფრთხოების (შეიარაღებული აგრესიისგან დაცვა) გარანტიას.**

## აფხაზეთი შესაძლოა, აღარ იყოს

**ოკუპირებული აფხაზეთის თანამდებობიდან გადამდგარი დე ფაქტო პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის განცხადებით, აფხაზეთში განვითარებული მოვლენები , შესაძლოა, დამღუპველი იყოს. ამის შესახებ ნათქვამია ანქვაბის მიმართვაში აფხაზეთის მოსახლეობისადმი, სადაც ის გადადგომის შესახებ საუბრობს.**

**— მოგმართავთ თქვენ იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც აფხაზეთის სახელმწიფოს ბედისთვისთვის, შესაძლოა, დამღუპველი იყოს. 27 მაისს ოპოზიციამ გამართა მიტინგი, რომლის შედეგად პრეზიდენტის, მთავრობისა და სახელმწიფო ტელევიზიის შენობების ძალისმიერი დაკავება მოხდა. ხელისუფლებამ სცადა, მოლაპარაკებები ეწარმოებინა ოპოზიციასთან, რომელსაც საკოორდინაციო საბჭო ხელმძღვანელობს, მაგრამ ამან კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე ვერ მიგვიყვანა. მე და ჩემ კოლეგებს გვესმის, რომ შეთანხმების მიღწევის ამოცანა მათ არ ჰქონიათ. მათ ამის სრულიად საწინააღმდეგო მითითება ჰქონდათ, — აცხადებს ანქვაბი.**

**ამასთან, ანქვაბის თქმით, მისი, როგორც სახელმწიფოს პასუხისმგებლიანი მეთაურისთვის, მთავარია სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება და სისხლისღვრის აცილება. სისხლისღვრის საფრთხე მაღალია, ვინაიდან ანქვაბის თქმით, ხელისუფლებისთვის იბრძვიან ძალები, რომლებიც არაფერზე უკან არ დაიხევენ საკუთარ ამბიციებს თანამოქალაქეების სიცოცხლეს და აფხაზეთის თავისუფლებასაც შესწირავენ.**

**— ალექსანდრე ანქვაბისთვის თანამდებობა, მათ შორის პრეზიდენტის, არ წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას. მე არ შემეძლო მოვქცეულიყავი ისე, როგორც ოპონენტები. პირველივე დღეებიდან თქვენ ხედავთ, რა აინტერესებს ოპოზიციას — კაბინეტების დაკავება, მაგრამ ეს აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილია. არანაირ რეფორმებზე საუბარი არ არის. მათი ინტერესების მადა ყოველდღიურად გაიზრდება. და ამ მადის უკან იმალება გაცილებით მეტი — საფრთხე აფხაზეთის სახელმწიფოებრიობისთვის. ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ადვილია დაკარგო ჩვენთვის ყველაზე წმინდა, სასიცოცხლო სივრცე — აფხაზეთი შესაძლოა, აღარ იყოს“, — აცხადებს ანქვაბი.**

## სტიქია მცხეთა-მთიანეთში

**მცხეთა-მთიანეთის მხარეში სეტყვის შედეგად ზარალი 20-მდე სოფელს მიადგა. როგორც მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის პრესსამსახურში განაცხადეს, ზარალის დამთვლელი კომისია უკვე შექმნილია.**

**მათივე ინფორმაციით, გუბერნატორი, გამგებლები და დეპუტატები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს ადგილზე ეცნობიან.**

**მცხეთისა და დუშეთის რაიონების რამდენიმე სოფელი კვირა ღამით დაისეტყვა. სეტყვასთან ერთად ბულაჩაურში ერთ-ერთ სახლს ძლიერმა ქარმა სახურავიც გადახადა.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ჭადრაკი

## ნონა გაფრინდაშვილმა მამაკაცები დაჩაგრა

**ლიხტენშტეინის ქალაქ ტრიესენში დასრულებულ მამაკაც-სენიორთა საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალეედ იასპარეზა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა.**

მან 9-დან 6,5 ქულით პირველობა გაიანწილა, ხოლო დამატებითი მაჩვენებლებით პირველი სამეული შემდეგნაირად დაკომპლექტდა: 1. ნონა გაფრინდაშვილი (2299), 2. ლასლო ეპერჟეში (უნგრეთი, 2179), 3. კრისტოფ ფრიკი (გერმანია, 2244).

ცნობისთვის, გაფრინდაშვილმა 4 პარტია მოიგო, 5 კი ყაიმით დასრულა.

**ნატა ნიბლაძე**

◎ ძიუდო

## ახალი ქართველის ოქროს დებიუტი

**საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრების ახალი წევრი ესტერ სტამი სადებიუტო საერთაშორისო ტურნირზე — მადრიდში გამართულ ევროპის ღია ტურნირზე ჩემპიონი გახდა. 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ნატურალიზებულმა ქართველმა ესპანურ ტატამზე ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ოთხივე დამაჯერებლად მოიგო.**

შეჯიბრებაში სტამი მერვედფინალიდან ჩაერთო, სადაც ესპანელი მარია დელმარ პარედესი ორ წუთში დასცა ბეჭებზე. იტალიელ ჯენიფერ პიზანტისაც ლამაზი სუფთა გდებით მოუმთავრა საქმე შეხვედრის მე-4 წუთზე. არადა იქამდე მსაჯისგან იტალიელისთვის ნაჩუქარი იუკოთი აგებდა. ნახევარფინალში ფრანგ მარგო პინოს ვაზარ-იუკოთი აჯობა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი იტალიელი ჯულია კანტონი პირველივე შეტევით ვაზარიზე დააგდო და შეტევა შებოჭვით დააგვირგვინა.

კადეტთა და 23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონმა ესტერ სტამმა ევროპის ღია ტურნირის ოქროს მედალთან ერთად 100 სარეიტინგო ქულაც გამოიმუშავა, რაც მსოფლიოს რეიტინგში სავარაუდოდ 70-ე ადგილამდე დააწინაურებს.

იმავე დღეს საქმეში საქართველოს ვაჟთა ნაკრების წევრები: გიორგი ნადირაძე (90 კგ), გურამ თუშიშვილი (100 კგ) და როსტომ ხახალეიშვილიც (+100 კგ) ჩაერთნენ, მაგრამ სამივე წინასწარ ეტაპზევე დამარცხდა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ რაგბი

## გორგოძის პირველი ქართული „ბარბაროსული“

**მეორე ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული იყო, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და აწ უკვე „ტულონის“ მესამეხაზელმა ნ-მეტრიანი შერკინებიდან ბურთი ცალი ხელით აიტაცა და ჩათვლის მოედნისკენ მატარებელივით დაიძრა. მისი შეჩერება სამმა მცველმა სცადა, მაგრამ ქართველმა ცალი ხელით ბურთი ჩათვლის მოედნის ხაზს მაინც მიაწვდინა.**

ეს ყველაფერი იმდენად სწრაფად მოხდა, რომ რეფერიმ ვერაფერი შენიშნა და თამაშის გაგრძელება ბრძანა, მაგრამ როგორც კი საშუალება მიეცა, ვიდეორეფერის დახმარება სთხოვა და მამუკა გორგოძეც დამსახურებულად გახდა პირველი ქართველი მორაგბე, რომელმაც „ბარბაროსების“ მაისურით ლელო გაიტანა. ორი წლის წინათ, უელსთან მატჩში მას ორ ეპიზოდში სანტიმეტრები დააკლდა მიზნის მიღწევამდე, ახლა კი კარგია, რეფერიმ ეპიზოდის გადამოწმება რომ გადაწყვიტა და მხოლოდ საკუთარ ინტუიციას არ ენდო, თორემ ნაღდი ლელო ქართველ სპორტსმენს უსამართლოდ გაუუქმდებოდა.

29 წლის გორგოძემ, რომელიც 7 ივნისს უკვე მსოფლიო ნაკრების სახელით სამხრეთ აფრიკაში მასპინძელთა ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს, შერკინების შემკვრელად სრული 80 წუთი ითამაშა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მუდამ შეტევაზე ორიენტირებული ყველა შემთხვევაში ახერხებდა ორი-სამი მეტოქის ჩამოცილებას, მანძილის მოგებას და თანაგუნდელებისთვის უპირატესობის შექმნას. რომ არა ხოსე გეარის დუბლი და მართლაც განსაკუთრებული თამაში, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ უთუოდ მას დაასახელებდნენ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მან მსოფლიოც და „მონპელიეს“ ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა — ის საერთაშორისო დონის ვარსკვლავია!



მთელი 75 წუთის განმავლობაში გორგოძესთან ერთად იბრძოდა ასევე „ლელოს“ აღზრდილი, „სტად ფრანსეს“ ბურჯი დავით ქუბრიაშვილი. ის კარგად იდგა შერკინებაში, აქტიურობდა რაქებში, ბოლომდე იხარჯებოდა დაცვაში და ერთი — ორჯერ ინგლისელების საცემადაც გაიწია. მოკლედ, თამამად უნდა ვთქვათ — გორგოძემ და ქუბრიაშვილმა 1 ივნისს საქართველო მთელი მსოფლიოს წინაშე ასახელეს!

როგორც „ბარბაროსების“ სახელს შეშვენის, ტრიბუნაზე შეკრებილმა 50 500-მა მაყურებელმა ღია, ლაღი, გახსნილი და შემტევი რაგბით ისიამოვნა. მათ ჯამში ხუთი ლელო იხილეს, რომელთაგან სამი ინგლისის იყო და ხუთი — „ბარბაროსების“. მასპინძლებმა ჯარიმებიც დაარტყეს და ტაიმი 18:14 მოიგეს, მერე კი გორგოძემ ლელოთი „ბარბაროსები“ დააწინაურა, შემდეგ ორი ჯარიმა მათაც დაარტყეს, ბოლოს მაყურებელმა კვლავ ლელოები იხილა და ქართველთა გუნდმა 39:29 იმარჯვა.

**გეჟან დოლიძე**

◎ კონტრაქტი

## ვენგერმა „არსენალთან“ 3 წლით გაახანგრძლივა

**ლონდონის „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კლუბთან კონტრაქტი 3 წლით გაახანგრძლივა. ამის შესახებ „არსენალის“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. ახალი ხელშეკრულების თანახმად, ფრანგი სპეციალისტი ლონდონურ კლუბში 2017 წლამდე დარჩება.**

„დარჩენა და კლუბის განვითარება მსურს. ჩვენ ძალიან საინტერესო ეტაპს ვიწყებთ. ძლიერი შემადგენლობა გვყავს, ფინანსურად სტაბილურები ვართ და მთელ მსოფლიოში უდიდესი მხარდაჭერით ვსარგებლობთ.

კლუბს ჩემი ყოველთვის სჯეროდა, რისთვისაც მადლობელი ვარ. ჩვენ რამდენჯერმე ფანტასტიკური პერიოდი გავიარეთ, მაგრამ გვქონდა ეტაპები, როდესაც ორმხრივი მხარდაჭერა გვჭირდებოდა“ — იუწყება ვენგერის სიტყვებს „არსენალის“ ოფიციალური ვებგვერდი.

**გიორგი შოთაძე**



◎ ლეგიონერი

## სანიკიძემ ამჯერადაც გაიბრწყინა

**საქართველოს ნაკრების და „სარაგოსას“ ფორვარდმა ვიქტორ სანიკიძემ მადრიდის „რეალთან“ მეოთხედფინალური სერია ჩინებულად ჩაატარა, თუმცა, მისმა გუნდმა ფავორიტად შერაცხულ მეტოქესთან ვერაფერი გააწყო და 0:2 დამარცხდა.**

სასიხარულოა, რომ სანიკიძე ორივე მატჩში გამორჩეული გახლდათ. პირველ ბრძოლაში ვიქტორმა 12 ქულა, 13 მოხსნა, 1 პასი, 3 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა და თამაშის საუკეთესო მოთამაშე გახდა, მე-2 შეხვედრაში კი მასპინძელთა რიგებში ისევ საუკეთესო სარგებლიანობის კოეფიციენტი (22) ჰქონდა.

საშინაო მატჩში არაგონელებმა გაცილებით შედეგიანად ითამაშეს, თუმცა, დაცვაში სუსტად გამოიყურებოდნენ და 95:101 წააგეს. ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 25 წუთი გაატარა და 16 ქულა, 6 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა.

ვიქტორმა 2-ვე ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

„სარაგოსას“ რიგებში 20 ქულით ყველაზე შედეგიანი ხორვატი დამიან რუდეზი იყო, 10-ქულიან ზღვარს კი მაიკლ როლი (15), ჯოზეფ ჯოუნსი (13) და ჩინემელუ ელონუც (12) ასცდნენ.

მადრიდელთა შემადგენლობაში მინიმუმ 10 ქულა ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა მიითვალა, საუკეთესო სარგებლიანობის კოეფიციენტი კი ნიკოლა მიროტიჩს (15 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი) ჰქონდა.

ამგვარად, „რეალმა“ ნახევარფინალში გააღწია, სადაც „უნიკახას“ და „გრან კანარიას“ შორის უმჯობესს გაეჯიბრება. ნახევარფინალში მეტოქეს ელის „ბარსელონაც“, რომელმაც თორნიკე შენგელიას მომავალ კლუბ „ლაბორალ კუჩას“ სერია ასევე 2:0 მოუგო.

მეორე შეხვედრაში, რომელიც ბასკეთში შედგა, კატალონიელებმა 95:71 იმარჯვეს, საქართველოს ნაკრების ექს-მოთამაშე ჯეიკობ პულენმა კი 17 წუთში 12 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

ნახევარფინალში „ბარსა“ ბექა ბურჯანაძის „კახასოლს“ და „ვალენსიას“ სერიაში გამარჯვებულს ელის, რომელშიც ანგარიში 1:1 გახლავთ. სევილიაში გამართულ მატჩში მასპინძლებმა 84:78 მოიგეს, ქართველ ფორვარდს კი თამაშში ჩართვის საშუალება არ მისცემია.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ კონტრაქტი

## UEFA-მ „სანტიაგო ბერნაბეუს“ 2 სექტორს დისკვალიფიკაცია მისცა

**ევროპის საუკეთესო კლუბის მადრიდის „რეალის“ საშინაო არენის ორი სექტორი ჩემპიონთა ლიგის მომდევნო მატჩის დროს ცარიელი იქნება.**

UEFA-ს სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, „სანტიაგო ბერნაბეუს“ 120-ე და 122-ე სექტორებში ჩემპიონთა ლიგის მომდევნო თამაშის დროს გულშემატკივრები არ დაიშვებიან და ამ სექტორებში გამოკიდებული იქნება ბანერი წარწერით „არა რასიზმს“. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბაიერნის“ წინააღმდეგ გამართული მატჩის დროს მადრიდელი გულშემატკივრების მხრიდან რასიზმის გამოვლინებაა.

**კობა კობახიძე**

◎ კალათბურთი

## რას ერჩიან შერმადინს?

**ზედიზედ მე-2 მატჩია, პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი მოედანზე არ სჩანს. შეგახსენებთ, რომ „ოლიმპიაკოსი“ საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაშია ჩაბმული და გასულ შეხვედრაში მარადიულ მეტოქე „პანათინაიკოსს“ ათენში მოუგო, თუმცა, უპირატესობა მალევე გაანიავა.**

ამჯერად პირეოსელები შინაურ კედლებში 65:67 დამარცხდნენ და სერიაში ანგარიშიც საყაიმო გახდა — 2:2. „ოლიმპიაკოსის“ რიგებში საუკეთესო დანსტონი იყო 15 ქულით და 7 მოხსნით, ლოესკიმ 14 ქულა ჩააგდო, სლუკასმა და პრინტეზისმა კი — 11-11.

„პანათინაიკოსის“ მხრიდან ლასმეს ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა — 17 ქულა, 9 მოხსნა. გამოსარჩევია უბერებელი დიამანტიდისის გარჯაც — 13 ქულა, 4 მოხსნა, 6 პასი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ უძმე დღეების ქრონიკა

# სულეთში ამაღლებული...

აი, ვინ შეეფერებოდა პოეტის ნატვრას: **„კაცი მომცა — ღონდებოდეს, ქვეყნის სატკივარი სჭირდეს, ჭიქა მიეწოდებოდეს, დალაპარაკება ღირდეს!“**

დღევანდელ საქართველოში, სამწუხაროდ, დიდი სინაკლულეა ასეთი კაცებისა, **ჯიმი მიქელაძე,** სწორედაც რომ გამონაკლისი იყო. ბედის ირონიით, მიქელაძეთა უძველესი, დიდი გვარის შთამომავალმა, კომკავშირში მოღვაწეობით დაიწყო და საქართველოს კპ ცკ-ს ბოლო პირველი მდივნის თანამდებობით დაამთავრა აქტიური სახელმწიფო მოღვაწეობა, „შუალედში“ კი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაირ-ნაირი თანამდებობები იცვალა და გენერლობამდე მივიდა. ძნელი იყო იმ დროს, იმ სიტუაციებში, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირს ზნეობა და ღირსება შეენარჩუნებინა, ჯიმი მიქალაძემ შეინარჩუნა!

ქალაქ თბილისის მილიციის უფროსს, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, შეუძლებელია, ყველა მსჯავრდებულის „ჭკუაზე ევლო“, თუმცა, ობიექტურობის გრძნობა არასდროს დაუკარგავს. ამას მისი უამრავი მეგობარი დამიდასტურებს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, „სულში იძვრენდნენ“ ჯიმის და ისიც, ნიადაგ, მეგობრების ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო. „ჩირად არ მიღირს სიცოცხლე ჩემი მეგობრების გარეშე, ოჯახის სიყვარულს, ბუნებრივია, ვერავინ შემიცვლის, მაგრამ მეგობრების სიყვარული არცთუ ისე ხელწამოსაკრავი ფენომენია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, ჩემი უახლოესი სამეგობრო წრე ერთ დიდ, მთლიან ოჯახად წარმომიდგენია“, — ამბობდა იგი.

სწორედ მეგობრების სიყვარულმა, გვარიშვილობის, წინაპრების თაყვანისცემამ ააღებინა ხელში კალამი ჯიმი მიქელაძეს ხანდაზმულობის ჟამს და ორი ისეთი წიგნი „დადო“, ფორმითა და შინაარსით, სიტყვის ოსტატებსაც რომ შეშურდებათ.

ერთი — **„წარსულის ღია ფანჯრები“** — მიქელაძეთა დიდი გვარის წარმომავლობაზე, წინაპრებზე, ახლობლებზე, განვლილი ცხოვრების გზაზე მოგვითხრობს, ხოლო მეორე — **„მეგობართა პორტრეტები“** — როგორც სათაურიდან ჩანს, ჯიმის მეგობრებს ეკუთვნით. სხვათაშორის, მე მთხოვა, დაბეჭდვამდე, იქნებ, გადამიხედო ტექსტო... ეს, მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჩემთვის. ჩვენ ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ, საერთო სამეგობროდან დავახლოვდით და, ყოველი შეხვედრა, ერთი სიამოვნება იყო. ჩემგან, მართლაც გადახედვის მეტი, თითქმის არაფერი დასჭირვებია ჯიმის გულიან ნაწერს. სანამ დედანს დავუბრუნებდი, ლექსად მივუწერე ბოლო გვერდზე:

**ამ წიგნში თქვენი სულია,**
**და თქვენი ჯიშის ყივილი,**
**აფერუმ, როგორ გიგრძვნიათ**
**ძმების ლხინი და ტკივილი.**
**თუმც თქვენი ახლოს გაცნობა,**
**აქამდე ბევრმა დამასწრო,**
**გთხოვთ, რომ მეგობრად მიგულოთ —**
**სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!**

დახედა და ღიმილით მითხრა: — აბა მეგობრობა მეტი რაღაცაა, გაგაწვალე, კაცო!

...ჯიმი მიქალაძეს სიკვდილის წინ შეეძლო გულში მშვიდად გაევლო: — ეს ცხოვრება სიყვარულით გავლიე!.. იგი ვალმოხდილი წავიდა თავისი საყვარელი სამშობლოს, თავისი დიდი გვარის, თავისი დიდი ოჯახის, წინაპრებისა და მშობლების წინაშე, ხოლო შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს კაცურად განვლილი ცხოვრების მაგალითი დაუტოვა.

ორმოცი დღე გასულა ჯიმი მიქელაძის გარდაცვალებიდან. მისი სული უკვე ზეცაშია... და ეფერებიან ერთმანეთს მიქალაძეები და იოსელიანები, ჩხეიძეები და მხეიძეები... უამრავი მეგობარი და ნაცნობი... ხოლო ჯიმი, რა თქმა უნდა, გამორჩეულია მათ შორის. დიახ, მთელი თბილისის კოლორიტი და ჯიგარი, ზეციურშიც გამორჩეულია...

ღმერთმა ნათელი არ მოგაკლოს, ძმაო!

# ამუსიკებულ-ამღერებულ-ამღელვარებული რუსთაველი...

**გამზირს** ვგულისხმობ, ჩვენი დედაქალაქის დედაქუჩას, შაბათს შუადღეზე ახალგაზრდებმა რომ „დაიპყრეს“ და გვიანობამდე არ მოჰკლებია მათი სიხალისე და მუხტი იქაურობას. „იგრძენი ქუჩის გულისცემა“, „მოძრაობა სიძულვილის წინააღმდეგ“ — გამოეფინათ ტრანსპარანტები ახალგაზრდებს და, გამზირის მთელ სიგრძეზე, თბილისის მერიის მიერ მხარდაჭერილი **„ქუჩის ფესტივალის“** სიმღერები ატკბობდა მსმენელს, ერთგან საესტრადო მუსიკა ისმოდა, მეორეგან, დოლ-გარმონის თანხლებით, ქალაქურ სიმღერებს „უბერავდნენ“, ოპერის თეატრის გადმოღმა მიკროფონთან სოლისტები ეცილებოდნენ ერთმანეთს, მთელი ჯგუფი, ბარე, თხუთმეტი უცხოელი ტურისტი კი ღიმილით, აღტაცებით შეჰყურებდა მათ. აქ მართლა გაგახსენდებოდა სტრიქონები ჩვენი „დედაწიგნიდან“, ოღონდ, ცოტა შესხვაფერებით:

**რა ესმოდეთ მღერა ყმათა,**
**უცხოელნიც ჩერდებიან,**
**და ფიქრობენ, რომ ქართველნი,**
**სულ სიმღერით ბერდებიან.**

დაე, ეგონოთ, დაე, შეგვნატროდნენ... სიმღერა და ხალისი ამ ბოლო დროს გვარიანად გვაკლია, მაგრამ მაინც გვემღერებოდეს, მომავალს იმედით გავხედოთ... და, რაც მთავარია, ხალისიანი, ეროვნული სულით დამუხტული ახალგაზრდები არ მოეშალოს ჩვენს სამშობლოს!..

**სიმღერა** სიმღერად და, მალე, მთელი ტალღა გამოჩნდა ახალგაზრდა დემონსტრანტებისა, რომლებიც პროტესტს უცხადებდნენ ქვეყნის ხელისუფლებას ძალადობრივი ნარკოპოლიტიკის გამო და ამ პოლიტიკის სასწრაფო გაუკეთესებას მოითხოვდნენ, კერძოდ იმას, რომ, ნარკომომხმარებლის მკაცრად დასჯა არ არის აუცილებელი, რომ მარიხუანას მოხმარებისთვის არ უნდა აპატიმრებდნენ, მისი მოხმარება არ არის საშიში და ასე შემდეგ...

აბა, რა გითხრათ, ახალგაზრდებო! თუ რაიმე შეესაცვლელია, სწორედაც კარგისკენ უნდა შეცვალოს ხელისუფლებამ, ისე, უამრავი ქართული ოჯახის გამაუბედურებელი „წამლის“ ანტირეკლამა რომ გაუმჯობესებულია, ეს თითქმის ყოველდღიური ტელეგადაცემებიდან და პრესის ფურცლებიდანაც იგრძნობა, ხოლო საკითხები, რაც მდგომარეობას კვლავაც გამოასწორებს ნარკოტიკის „გადაშენების“ თვალსაზრისით, არა მგონია, ხელისუფლებამ მიაყურისძიროს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ კრიმინალი

## ნაძალადევში ქმარმა ცოლი მოკლა

**სამართალდამცველებმა 1967 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი ჯიმშერ ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

**შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ჯიმშერ ა-მ მიმდინარე წლის 1 ივნისს, ღამით, თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეუღლეს — 1967 წელს დაბადებულ ლუდა გ-ს ცივი იარაღით გულმკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

**დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის მიყენებული მძიმე ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.**

**შს სამინისტროს ცნობით, სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს ხარაგაულის რაიონში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.**

**რეკლამა**
**299-62-77; 599 32-85-76.**

◎ კოლეგის ხსოვნას

# ოთარ გოგიჩაიშვილი

**ჩვენს საძმოს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი გამოაკლდა. გარდაიცვალა ბატონი ოთარ გოგიჩაიშვილი, — საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის, სხვა მრავალი ჯილდოსა და საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელების კავალერი, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვოდა მისი მშობლიური მხარის, აჭარის და გურიის ენერგეტიკის განვითარების საქმეში.**

ოთარ გოგიჩაიშვილი **დაიბადა 1932 წლის 21 დეკემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჭინათში, წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლა და 1955 წელს ასევე წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სპეციალობით „ელექტროქსელები, სისტემები და ელექტროსადგურები“.**

**ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მოუწია მუშაობა უკრაინაში ქ. ლისიჩანსკის თბოელექტროსადგურში. სამშობლოში დაბრუნებული მუშაობდა დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა ენერგოობიექტებზე, დაწყებული რიგითი ინჟინრობიდან რესპუბლიკური მასშტაბის სამეურნეო ხელმძღვანელამდე.**

**მისი აქტიური და ხანგრძლივი მოღვაწეობით აჭარა-გურიაში შეიქმნა მძლავრი ელექტრომეურნეობა, ბატონი ოთარი უშუალოდ მონაწილეობდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში.**

**ბატონი ოთარ გოგიჩაიშვილი გამოირჩეოდა დიდი ადამიანური კეთილშობილებით, კულტურით, ამავე დროს, პრინციპულობით და შესაშური სამართლიანობით.**

**წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი კოლეგა და მეგობარი — ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მივუსამძიმროთ ბატონი ოთარის დამწუხრებულ შესანიშნავ ოჯახს, განსაკუთრებით კი მეუღლეს — ქალბატონ კლარას ესოდენ დიდი დანაკლისი და ვუსურვოთ გაძლება.**

**უფალმა სასუფეველში დაამკვიდროს ჩვენი ძვირფასი კოლეგის, ბატონ ოთარ გოგიჩაიშვილის კეთილი სული.**

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;**
**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;**
**საქართველოს ენერგეტიკის პროფესიული კავშირი;**
**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.**

**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, სასცენო ხელოვნების დიდი მოამაგე**

**თამილა ლასხიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 3 VI, 15 სთ. გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ტაძრიდან.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები და ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელობა მწუხარებით თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარ რედაქტორს ტატო ლასხიშვილს დედის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობის**

**თამილა ლასხიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია სამძიმარს უცხადებს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს ძმის**

**ვაჟა ჯაფარიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**ავთანდილ წერეთელი ოჯახთან ერთად თანაგრძნობას უცხადებს ბატონ კახა თარგამაძეს სიმამრის**

**ვაჟა ჯაფარიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**ავთანდილ წერეთელი ოჯახთან ერთად თანაგრძნობას უცხადებს ციცო, გივი ჯაფარიძეებს ძმის**

**ვაჟა ჯაფარიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**ვახტანგ წერეთელი ოჯახთან ერთად იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**ვაჟა ჯაფარიძე**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ გივი ჯაფარიძეს ძვირფასი ძმის**

**ვაჟა ჯაფარიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია სამძიმარს უცხადებს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს ძმის**

**ვაჟა ჯაფარიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**ფარიკაობის ფედერაცია, მისი პრეზიდენტი არჩილ გოგელია და საპატიო პრეზიდენტი იური ოსიპოვი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე**

**ლევან კირკიტაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

◎ ჩვენი კარაბადინი

# როგორ გავუმკლავდეთ ეჭვებს

**XIV საუკუნეში საფრანგეთში ცხოვრობდა ფილოსოფოსი ჟან ბურიდანი. ბევრი რამ შეთხზა. მაგრამ შთამომავლებს დაამახსოვრდათ მისი მხოლოდ ერთი იგავი სახედარზე, რომელიც შიმშილით მოკვდა იმიტომ, რომ თივის ორი ერთნაირი კონიდან ვერაფრით ვერ შეძლო აერჩია, თუ რომლით უკეთესი იქნებოდა დაწყება. ხომ არ გამოვიყურებით ჩვენც ასეთივე სახედარებივით, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გვინდა მივიღოთ?**

**ჩვენი ექსპერტია ფსიქოლოგი მარინა მთიულიშვილი.**

**ადრეული** ბავშვობიდან სიკვდილამდე ჩვენ იძულებული ვართ ვიცხოვროთ მუდმივი არჩევანის მდგომარეობაში. რა ჩავიცვათ: ლურჯი კაბა თუ წითელი?ვინ ავირჩიოთ თაყვანისმცემლებიდან: საიმედო თუ გონებამახვილი? სად წავიდეთ სასწავლებლად: პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში თუ იქ, სადაც უფრო იოლია? რომელი სამუშაო ავირჩიოთ: შემოსავლიანი თუ საინტერესო? და ასეა ყველაფერში. როგორ არ გინდა, რომ დაუშვა შეცდომა, როდესაც არჩევანი შეეხება მართლაც მნიშვნელოვან რამეს.

## უსასრულო წამება

**ამ თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებად ფატალისტებსა და პოფიგისტებს უჭირთ. მიჰყვები შენთვის დინებას და არ გენაღვლება, სად მიგიყვანს იგი. რომელი კაბაც უფრო ახლოს ჰკიდია — ის უნდა ჩაიცვა.** რომელი საქმროც უფრო დაჟინებულია — იმას უნდა გაჰყვე ცოლად. სამუშაოს შემომთავაზებლებიდან ვინც მეტ ინტერესს იწვევს ჩემდამი —იმასთან მივალ. ცუდად არ ცხოვრობენ ადამიანები განვითარებული ინტუიციით, აგრეთვე ისინი, ვისაც ასეთად მიაჩნია თავი, და ამიტომ დარწმუნებული არიან, რომ მათი არჩევანი ყოველთვის უცოდველია. ყველა დანარჩენი ეწამება, ეჭვი ეპარება, ეძლევიან სასოწარკვეთილებას და ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს, როგორ მიიღოს გლობალური გადაწყვეტილება ეფემერულ ინტუიციაზე ან ბედისწერის ბრმა ნებაზე დაყრდნობით! მაგრამ სწორედ ამ ბევრისგან დაგმობილ მიდგომაში, როგორც ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, არის დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე. მოვლენათა შესაძლო განვითარების ყველა ვარიანტის გათვლა ხომ შეუძლებელია, ამიტომ ზოგჯერ უბრალოდ უმჯობესია, ვენდოთ მეექვსე გრძნობას ანდა დავეყრდნოთ გამოთქმას: რაც მოსახდენია — მოხდეს. შემდეგ კი ვიმოქმედოთ ვითარების შესაბამისად. მაგრამ, სანამ საბოლოო ნაბიჯს გადავდგამდეთ, მაინც არ იქნებოდა ურიგო ყველაფერი ავწონ-დავწონოთ. და თუ ხანგრძლივი განსჯის შემდეგ პასუხი მაინც არ მოვიდა თავისით — მაშინ შეიძლება მივმართოთ ინტუიციას ანდა რისკს.

## ყოველმხრივი მიდგომა

**გადაწყვეტილების** მიღების მრავალი რაციონალური მეთოდი არსებობს. მაგალითად, არის ცნობილი ფსიქოლოგიური მაგალითი: ჩამოწერო ქაღალდის ფურცლის ორ სვეტზე ამა თუ იმ არჩევანის პლუსი და მინუსი, შემდეგ კი უბრალო მათემატიკური დაანგარიშებით გადაწყვიტო, რომელი მათგანია უფრო ხელსაყრელი. არის კიდევ უფრო იოლი ხერხი. მას „დეკარტეს კვადრატს“ უწოდებენ. გადაწყვეტილების მიღების ეს ხერხი იდეალურია, როდესაც უნდა აირჩიო, გადადგა თუ არა საბედისწერო ნაბიჯი თუ ყველაფერი დატოვო ისე, როგორც არის. მაგალითად, ასეთ მეთოდს შეიძლება მივმართოთ, რათა გადავწყვიტოთ: გავეყაროთ ქმარს თუ არა, შევიცვალოთ სამსახური თუ დავრჩეთ სადაც ვართ, ავიღოთ იპოთეკა თუ არ ღირს, შევურიგდეთ დედამთილს თუ ბოლომდე გაბუტული ვიყოთ მასთან. ამ მარტივი ტექნიკის არსი არის ის, რომ განვიხილოთ სიტუაცია უფრო ვრცლად, არა ერთი ან ორი, არამედ ოთხივე მხრიდან. ამისთვის ფურცელი უნდა დავყოთ 4 სვეტად და ვუპასუხოთ 4 შეკითხვას: 1. რა იქნება, თუ ეს მოხდება (პლუსი სასურველის მიღების დროს). 2. რა იქნება, თუ ეს არ მოხდება (მინუსი სასურველის მიუღებლობის დროს). 3. რა არ მოხდება თუ ეს მოხდა? (მინუსი სასურველის მიღების დროს). 4. რა არ იქნება, თუ ეს არ მოხდება? (მინუსი სასურველის მიუღებლობის დროს).

ჩვენ ხომ ხშირად განვიხილავთ შესაძლო მოვლენის დადგომის მხოლოდ პლუსებსა და მინუსებს. მაგრამ არ ვღებულობთ მხედველობაში „სტატუს კვოს“ დადებით და უარყოფით მხარეებს. ყოველმხრივი შეფასება კი საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ უსაფუძვლო რისკი. და მაშინ აღარ მოგვიწევს, შევურიგდეთ დასანან ზარალს, რომელიც ადვილად შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა.

◎ მცირე ენციკლოპედია

## თირკმელები

**ადამიანს ორი თირკმელი აქვს, რომლებიც ფორმით ლობიოს ლებნებს ჰგვანან. თირკმელების მთავარი ფუნქციაა სისხლის გაწმენდა ნივთიერებათა ცვლის დროს დაგროვილი ნარჩენებისგან, ასევე ჰორმონ რენინის გამომუშავება, რომელიც არტერიული წნევის მოწესრიგებაზეა პასუხისმგებელი;** დღე-ღამეში თირკმელები 1700 ლიტრ სისხლს ფილტრავენ და წმენდენ; თითოეული თირკმელი 120-200 გრამს იწონის, მათი სიგრძე 10-12, სიგანე 6, სისქე კი 3 სანტიმეტრია; ორივე თირკმელში სისხლი დაახლოებით 2 მილიონ ნეფრონს (ფილტრს გადის); ჩასუნთქვის დროს თირკმელი 2-4 სანტიმეტრით, ხოლო ღრმა ჩასუნთქვისას — თითქმის 4-6 სანტიმეტრით ქვევით ჩადის; თირკმელების ანომალიური შეზრდა ბიჭებში 2,5 -ჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე გოგონებში, ხოლო გაორების ანომაცია, ბიჭებთან შედარებით, გოგონებში ორჯერ უფრო ხშირია; თირკმელთა (და საშარდე სისტემის სხვა ორგანოთა ქრონიკული დაავადებები) არამწეველებთან შედარებით მწეველებში გაცილებით ხშირია, თანაც გაცილებით უფრო მწვავედ მიმდინარეობს; 1944 წელს ჰოლანდიელმა მეცნიერმა უილიამ კოლფმა პირველად წარმატებით გამოიყენა ხელოვნური თირკმელი — ეს იყო სისხლის სხვა-



დასხვა ტოქსიკური ნივთიერებისგან სისხლის წარმატებით გაწმენდის ხელსაწყო; 2010 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰემოდიალური აპარატი დაამუშავეს, რომელსაც ადამიანს ორგანიზმში უნერგავენ. მას ადამიანის თირკმელის ზომები აქვს და დონორის თირკმლის გადანერგვაზე უარის თქმის შესაძლებლობას იძლევა; თირკმლის ყველაზე მძიმე დაავადებაა კენჭების წარმოშობა, რომელთა უეცარმა ანთებამ კაცი შეიძლება მოკლას; თირკმელების დაავადებათა მეოთხედი მათ განლაგებასთანაა დაკავშირებული.

## მიკრობები კოსმოსში

**რამდენიმე** თვის წინათ ამერიკელებმა მარსზე კოსმოსური ყველგანმავალი გადასხეს, რომელმაც, შესაძლოა, იქ დედამი-

**წიდან ბაქტერიები ჩაიტანოს და როგორ მოიქცევიან ისინი ამ უჩვეულო გარემოში, ამის პროგნოზის გაკეთება არავის შეუძლია.**

— სტარტის წინ არანაირი კოსმოსური ხომალდის სრულად სტერილიზება არ შეიძლება, ადგილობრივი ბაქტერიები მასზე მაინც დარჩება, — აცხადებენ ნასას სპეციალისტები. — მათ რომ ღია კოსმოსშიც შეუძლიათ სიცოცხლის შენარჩუნება, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს.

საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მუშაობის დროს, პროგრამის „ბიორისკის“ ფარგლებში მეცნიერები ასეთ ექსპერიმენტებს ატარებდნენ: სადგურის გარეთ კონტეინერებში დიდი ხნით ბაცილებისა და სოკოების სპორებს ტოვებდნენ, მოგვიანებით კი ასეთივე ექსპერიმენტებს განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე მყოფ ორგანიზმებზეც ატარებდნენ, კერძოდ, მცენარეთა თესლზე, კიბოსებრთა ემბრიონებზე, აფრიკული კოღოს კვერცხებზე. შედეგი გასაოცარი იყო: ბევრმა მათგანმა სიცოცხლისუნარიანობა ღია კოსმოსში 31 თვის ყოფნის შემდეგაც კი შეინარჩუნა!

კოღოს კვერცხი დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ წყალში ჩადეს და იქიდან კოღო გამოიჩეკა! რა მოუვა მიკრობებს მარსზე? დანამდვილებით ამის თქმა არავის შეუძლია, რადგან იქ სიცოცხლისთვის შეუფერებელი პირობებია, ზედაპირზე რადიაცია ძალიან დიდია. მაგრამ მის მიმართ მიკრობები საკმაოდ გამძლენი არიან, ამიტომაც გამორიცხული არ არის, რომ მათ ჩვენთვის უცნობი ტრანსფორმირება განიცადონ. ამიტომაც არის, რომ არსებობს მკაცრი მოთხოვნა, რომ სხვა ციური სხეულებიდან დაბრუნებულმა საფრენმა აპარატებმა მკაცრი კარანტინი გაიარონ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **რატომ** დააგვიანეთ დღეს სამსახურში? — კიცხავს შეფი ხელქვეითს.

— მაპატიეთ, ჩამეძინა.

— როგორ, თქვენ სახლშიც გძინავთ?

* * *

— **დაშა**, წავიდეთ, საღამოთი ვარსკვლავებს ვუყუროთ! — ეპატიჟება პეტკა.

— კმარა! აწი უპრეზერვატივოდ ვარსკვლავებს არ ვუყურებ!..

* * *

— **გოგონი** შეიძლება, რომ ტუჩებში გაკოცოთ?

— ასე მოგწონვართ?

— **არა**, უბრალოდ, მინდა, რომ ჩემში ზიზღის გრძნობა დავძლიო...

* * *

— **დღეს** სამზარეულოში სარეცხელი უნდა შევცვალო.

— **რატომ**, ძველი არ მოგწონთ?

— **პატარაა**, ჩაიდნის წყლით ავსება რომ მოინდომო, მანამდე სარეცხელში ჩაყრილი მთელი ჭურჭლეულობა უნდა გარეცხო.

* * *

— **ძვირფასო**, ჩვენ არასოდეს არ ვისესხებთ ფულს, სანამ მე შენი ქმარი ვარ, ჩვენს ყველა საფინანსო პრობლემას მე გადავწყვეტ! თუნდაც შენ ამისთვის მეორე სამსახურში მოგიწიოს მუშაობა!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24